# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბრძოლის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 28 ივლისი. 2016 წ. №139 (8031), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## ნუგზარ ფოფხაძე:



## არა შეჯდა მნეული ხესა, არა იყო გვარი მისი!

5

## ზურაბ აზნაურაშვილი:



## შესაძლოა, ლევან ბარშალომიძის საქმის გამოძიება პროკურატურაში გაგრძელდეს

7

## თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური კავშირები კიდევ უფრო მტკიცე იქნება!



საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა ზექი ლევენთ გუმრუქჩუმ თურქეთში საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტს „ისტორიული“ უწოდა.

როგორც თურქეთის ელჩმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, სამხედრო გადატრიალების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი „იყო ძალიან მნიშვნელოვანი“. ელჩმა ასევე მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, მთავრობასა და ქართველ ხალხს სამხედრო გადატრიალების დროს გამოჩენილი მხარდაჭერისთვის.

ამასთან, თურქეთის ელჩმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამხედრო გადატრიალების შემდეგ თურქეთის ეკონომიკური მაჩვენებლები გაუარესდა, ან თურქეთში ბოლო დროს მომხდარი მოვლენები თურქეთ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებზე აისახება.

**„მომავალში თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური კავშირები კიდევ უფრო მტკიცე იქნება“,** — განაცხადა ელჩმა.

## თამარ კინწურაშვილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეზოს დასუფთავებაში 165 ათასი ლარი გადაიხადა!



5

## თურქეთის არშემდგარი გადატრიალება და საქართველო

8




## ოკუპირებული მეგობრობა

## აფხაზებსა და ოსებთან შერიგების გზა მედიცინაზეც გადის



3

## დავით ქობალია:

## ნუ ვაზრმავებთ ხალხს,

3



## ანუ „ანაკლია-პორტის“ ახალი დილემა!

## ქრისტინა აგილერას კონცერტისთვის მატარებლის სპეციალური რეისი დაინიშნა



**30 ივლისს შეკვეთილის საკონცერტო დარბაზს, „ბლექ სი არენას“ მსოფლიო დონის პოპ ვარსკვლავის ქრისტინა აგილერას შოუ-კონცერტი გახსნის.**

კონცერტზე დასწრების მსურველთა მოთხოვნით და რეგიონის მიმართ გაზრდილი ინტერესის გათვალისწინებით საქართველოს რკინიგზამ მიიღო გადაწყვეტილება, დაინიშნოს დამატებითი რეისი 30 ივლისს თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით. აღნიშნული ფაქტი საშუალებას მისცემს საზოგადოებას, კონცერტის დღეს ესტუმროს შავი ზღვის სანაპიროს.

### სპეც-რეისის განრიგი ასეთია:

**„Black Sea Arena“-ზე ქრისტინა აგილერას კონცერტზე დასწრების მსურველთათვის თბილისიდან დამატებითი მატარებელი დაინიშნა. 4-ვაგონიანი ელექტრომატარებელი ორივე მიმართულებით 300-300 მგზავრს გადაიყვანს.**

**მატარებელი თბილისის ცენტრალური ვაგზლიდან გავა 30 ივლისს 10:25, ურეკში ჩავა 14:51.**

**მატარებელი ურეკიდან გამოვა 31 ივლისს 02:00 და ქ. თბილისში ჩამოვა 06:10.**

**ამ მატარებლებს გაჩერებები ქობულეთსა და ბათუმშიც ექნებათ.**

## ხელოვნური კვების რეკლამირების გამო სამშობიაროებს ჯარიმები დაეკისრებათ

11

## ოლიმპიური ჩემპიონი

## ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს...

10






# არჩილ თალაკვაძე – ოზურგეთში, თემურ ჭკუასელი – ჩოხატაურსა და ლანჩხუთში!

**გუშინ და გუშინწინ ქვეყნის პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა გურიაში მაჟორიტარობის ორი კანდიდატი წარადგინა. ოზურგეთის მაჟორიტარი იქნება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ჩინებული პროფესიონალი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცი არჩილ თალაკვაძე, ხოლო ლანჩხუთსა და ჩოხატაურში — პარლამენტის წევრი, ცნობილი პუბლიცისტი, მწერალი და მომღერალი, „ოცნების" ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახე თემურ ჭკუასელი.**

ოზურგეთსა და ლანჩხუთში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე, კანდიდატების წარდგენისას სიტყვები წარმოსთქვეს პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა და „ოცნების" გენერალურმა მდივანმა, ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ.

უახლოეს დღეებში „ოცნება" მაჟორიტარობის კანდიდატებს მცხეთა-მთიანეთის მხარეში წარადგენს.

# კვლევის ყველაზე ყურადსაღები მაჩვენებლები

### გამოკითხულთა 63 პროცენტი თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს

„ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 63 % თავს დაუსაქმებლად თვლის. დასაქმებულად თავს გამოკითხულთა 36% მიიჩნევს. „ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა" საქართველოს მასშტაბით, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე 4.113 რესპონდენტი გამოიკითხა.

### სამუშაო ადგილები, სიღარიბე, პენსიები... ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა!

NDI კვლევის იმ ნაწილის შედეგებს ასაჯაროებს, რომელიც ქვეყნის საგარეო კურსს, ეკონომიკასა და მასმედიას ეხებოდა. გამოკითხულთა პასუხებმა აჩვენა, რომ ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები სამუშაო ადგილები, სიღარიბე, ტერიტორიული მთლიანობა, ფასების ზრდა და პენსიებია. შეკითხვაზე, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხები — „სამუშაო ადგილებსა" და „სიღარიბეს" პირველ-მეორე ადგილები უჭირავს.

ხუთეულში შემდეგი ადგილები უკავია ტერიტორიულ მთლიანობას, ფასების ზრდა/ინფლაციას და პენსიებს.

აღნიშნულ ჩამონათვალში ასევე მოხვდა: ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, განათლება, ხელფასები, რუსეთთან ურთიერთობა, სამართლიანობის აღდგენა და ა.შ. „ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა" კვლევის საველე სამუშაოები 8 ივნისიდან — 6 ივლისის პერიოდში ჩაატარა. საქართველოს მასშტაბით, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე 4,113 რესპონდენტი გამოიკითხა.

### 72 პროცენტისთვის ევროკავშირია მისაღები, 64 პროცენტისთვის – NATO

მისაღებია თუ არა მთავრობის გაცხადებული მიზანი, ქვეყანა გახდეს ევროკავშირის წევრი. ამ კითხვაზე დადებითი პასუხი 72 %-მა გასცა.

სწორედ 72 % უჭერს მხარს მთავრობის გაცხადებულ მიზანს, ქვეყანა გახდეს ევროკავშირის წევრი, 12 %-სთვის მიუღებელია.

ამასთან, 71 % ფიქრობს, რომ ქვეყანას სარგებელს მოუტანს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა. 19 % ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს სცემს. პასუხი — არ ვიცი 9 %-მა გასცა. ამასთან, 64 %-სთვის მისაღებია მთავრობის გაცხადებული მიზანი, საქართველო NATO-ს წევრი გახდეს, 22 %-სთვის მიუღებელია.

# მე ეს ვიდეო შენახული მაქვს!

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, რომელიც ინტერნეტსივრცეში გავრცელდა და სადაც ნათქვამი იყო, რომ თითქოს ეს თინა ხიდაშელის პირად ცხოვრებას ასახავდა, იყო დადგმული მსახიობების მონაწილეობით. ხიდაშელის თქმით, მას ეს ვიდეო შენახული აქვს. როგორც მინისტრმა გადაცემა „არჩევანში" განაცხადა, მან მიმართა სპეციალურ სამსახურს, არ მომხდარიყო ამ ვიდეოს სოციალური მედიიდან აღება.

**„ეს ვიდეო იყო მსახიობების დადგმული, მისი ტირაჟირება აქტიურად მოახდინეს. ორი ადამიანი პროკურატურის კარებთან ხმამაღლა ამბობდა, რომ ეს ვიდეო იყო პოლიტიკოსის შესახებ. მე ეს ვიდეო შენახული მაქვს და ვფიქრობდი, რომ ამ ხალხისთვის მეჩივლა. ეს იყო საკმაოდ სერიოზული შეტევა ჩემს წინააღმდეგ, ცალკე კარასინი და ცალკე ადგილობრივი ფაშისტები მიტევდნენ. უსაფრთხოების სამსახურის უფროსს ვთხოვე, რომ ეს ვიდეო არ აეღოთ სოციალური სივრციდან, მაგრამ მოხდა მისი აღება... ცეცხლი გაიხსნა პირადად ჩემს წინააღმდეგ და ეს თავდაცვის სამინისტრო გახდა შეტევის მთავარი სამიზნე, როგორც კოალიციური მთავრობის წევრების მხრიდან, ასევე კარასინისა და იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც ამ ვიდეოს შესახებ აქტიურად საუბრობდნენ",** — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

# „მიზანმიმართულად ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ პროკურატურას მართავს აღმასრულებელი ხელისუფლება"

მთავრობის მეთაური კიდევ ერთხელ გამოეხმაურა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებას მოსამართლეებზე ზეწოლის განხორციელებასთან დაკავშირებით. კვირიკაშვილის აზრით, უცნაურია, რომ გიორგი პაპუაშვილი პროკურატურაში არ მიდის. კვირიკაშვილი აცხადებს, რომ ის შეხვდება გიორგი პაპუაშვილს და მის პრეტენზიებს მოისმენს.

**„მე გამოვხატავ ნებას და აუცილებლად შევხვდები მას. დავამთავრეთ წინასაარჩევნო წარდგინებები დასავლეთში. მომავალი ჯგუფის წარდგენამდე, შუალედ პერიოდში შევხვდები პაპუაშვილს, თუმცა მინდა შევახსენო მას, რომ პროკურატურა არ არის მთლიანად აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დაქვემდებარებული სტრუქტურა, ის არის დამოუკიდებელი ინსტიტუცია და ამ დამოუკიდებლობის საფუძვლები ჩვენ შევქმენით ბოლო წლებში, როცა მივიღეთ მნიშვნელოვანი რეფორმატორული ცვლილებები, როცა ის ანგარიშვალდებულია პარლამენტთან. მინდა ეს შევახსენო, რადგან ჩნდება ასეთი შთაბეჭდილება, რომელსაც ქმნიან მიზანმიმართულად, რომ ამ პროცესებს მთლიანად აკონტროლებს ხელისუფლება, ეს ასე არ არის. რა თქმა უნდა, ჩვენ გაგვაჩნია პოლიტიკური პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და ჩვენ აბსოლუტურად ვგრძნობთ ამას, თუმცა, მიზანმიმართულად ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ პროკურატურას მართავს აღმასრულებელი ხელისუფლება, ეს ასე არ არის და არც უნდა იყოს, ეს იყო წარსულში, დღეს — არა",** — აღნიშნა კვირიკაშვილმა.

# რამდენიმე თვეში პაპუაშვილს ვიხილავთ „ნაციონალური მოძრაობის" რიგებში



დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი ფიქრობს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს გიორგი პაპუაშვილს, ვადის ამოწურვის შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობის" რიგებში ვიხილავთ. მინისტრი პაპუაშვილს ურჩევს პოლიტიკური განცხადებების კეთებისგან თავი შეიკავოს და საგამოძიებო ორგანოსთან ითანამშრომლოს.

**„როდესაც ასეთი სერიოზული თანამდებობის პირი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე აკეთებს ისეთ განცხადებას, რომ დანაშაულის შემცველელი ნიშნები არსებობს, მან უნდა მისცეს ჩვენება, მან უნდა მისცეს შესაბამისი მასალები საგამოძიებო ორგანოს. სხვანაირი რამე არ მოუგონია ქვეყანაზე არავის და თუ მას უნდა პოლიტიკური განცხადებების კეთება, ამისთვის ასპარეზი ექნება რამდენიმე თვეში, მოითმინოს რამდენიმე თვე და რამდენიმე თვეში დარწმუნებული ვარ, ვიხილავთ ნაციონალური მოძრაობის რიგებში, სააკაშვილის გვერდით და აკეთოს რა განცხადებაც უნდა".**

# 1 ოქტომბრიდან საკონსტიტუციო სასამართლო დეპოლიტიზებული გახდება

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილს სურს, მანდატის ამოწურვამდე თავი დაგვამახსოვროს, — ასე ეხმაურება იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილის განცხადებებს. მისივე თქმით, საკონსტიტუციო სასამართლო დღეს არის ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე.



**„ვისურვებდი, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, როგორიც არის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, როდესაც ასეთ ხმაურიან განცხადებას აკეთებს, მივიდეს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებთან. რაკი იცლის არასამთავრობოებთან და სხვა პირებთან შესახვედრად, პირველ რიგში, უნდა მოიცალოს იმისთვის, რომ თუ აქვს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მიმართოს პროკურატურას. პაპუაშვილისთვის საგამოძიებო ორგანოების კარი არის ღია...**

**ერთ-ერთ გამოწვევად მე სასამართლოს თავმჯდომარის მანდატსაც ვაფასებ, რომელიც დასრულების პროცესშია. მაქვს ვარაუდი, რომ თავმჯდომარე მანდატის დასრულებამდე ცდილობს, თავი დაგვამახსოვროს. ეს მოსამართლეებისთვის გამოწვევაა. მე მჯერა, რომ პირველი ოქტომბრიდან საკონსტიტუციო სასამართლო დეპოლიტიზებული გახდება",** — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

# უსუფაშვილის რჩევები ამერიკიდან

დავით უსუფაშვილმა შექმნილ ვითარებაზე კომენტარი აშშ-დან გააკეთა, სადაც ის სამუშაო ვიზიტით იმყოფება. დავით უსუფაშვილის განცხადებით, პრეზიდენტთან, პრემიერთან, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებთან შეხვედრა ინსტიტუტების თავისუფლად მუშაობისა და საკითხების პოლიტიზების თავიდან ასაცილებლად საუკეთესო გამოსავალია.

**„ვთავაზობ ბატონ პრეზიდენტსაც, ბატონ პრემიერ-მინისტრს, ქალბატონ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომ არჩევნებამდე დარჩენილ დროში რაღაცნაირად შევქმნათ ფორმატი სამუშაო ვითარებაში შეხვედრების, ანუ ხელისუფლების ხუთივე შტო, რომელიც ვიმსჯელებთ ინსტიტუციურ გარემოზე პოლიტიკური თავისუფლებებისთვის, ინსტიტუტების თავისუფალი მუშაობისთვის და ეს საშუალებას მოგვცემს, საკითხებს სწრაფად და ეფექტურად გავუმკლავდეთ და თავიდან ავიცილოთ ზედმეტი სპეკულაციები და პოლიტიზება. საჭიროა პოლიტიკური პროცესებისადმი რაც შეიძლება მაღალი ნდობის უზრუნველყოფა და ამისთვის ჩვენ ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. თუკი რაიმე კითხვებია, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაეცეს მას პასუხი,"** — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.



ორი დღის წინათ პრემიერთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის აუცილებლობაზე პრეზიდენტმა ისაუბრა.

# აფხაზებსა და ოსებთან შერიგების გზა მედიცინაზეც გადის



**როდესაც ქართველების აფხაზებსა და ოსებთან შერიგების პერსპექტივებზე ლაპარაკობს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ამ პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საყრდენად ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურებას განიხილავს. ამ შინაარსის განცხადებები გიორგი კვირიკაშვილმა 24 ივლისს სამეგრელოში სტუმრობისას გააკეთა. შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროცესში სამედიცინო სერვისების საგანგებო მნიშვნელობას არასამთავრობო სექტორშიც უსვამენ ხაზს. ოფიციალური სტატისტიკით, ყოველწლიურად იმატებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან თბილისში სამკურნალოდ ჩამოსულ პაციენტთა რიცხვი, რასაც ეჭვითა და შიშით უყურებენ დე ფაქტო რესპუბლიკათა ხელისუფალნი.**

უნდა შევურიგდეთ აფხაზებს, ოსებს, უნდა გავაერთიანოთ ჩვენი ქვეყანა, განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კვირას, სამეგრელოში სტუმრობისას, როცა ის ადგილობრივებს პარტია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს წარუდგენდა. აფხაზ და ოს ხალხთან შერიგებისა და მშვიდობიანად თანაცხოვრების სურვილი გიორგი კვირიკაშვილმა იმ დღეს არაერთხელ გამოხატა, ეს აქცენტი მან სამედიცინო სერვისების შეთავაზების ჭრილშიც დასვა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხს შეახსენა, რომ მათთან სულ ახლოს, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, მალე ამოქმედდება რეგიონალური მნიშვნელობის, ულტრათანამედროვე სტანდარტების საუნივერსიტეტო კლინიკა და რომ ქართველები მზად არიან, აფხაზებს ღირსეულად დახვდნენ. პრემიერის განცხადების ფრაგმენტი ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე აფხაზურ ენაზეც არის გამოქვეყნებული.

უმაღლესი სტანდარტების მრავალპროფილიანი 220-ადგილიანი საუნივერსიტეტო საავადმყოფო თავისთავად უმნიშვნელოვანეს როლს რომ შეასრულებს და ახალი სამედიცინო სერვისების მიღებით აფხაზებიც რომ დაინტერესდებიან, ამაში ეჭვი არ ეპარება **ზურაბ შენგელიას,** „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის“ ხელმძღვანელს, თუმცა, როგორც მან უთხრა რადიო „თავისუფლებას“, შერიგებისა და ნდობის აღდგენის თვალსაზრისით, ამ პროცესში თავის როლს თბილისის მონახულების შანსიც ასრულებდა, რადგან, სულ ცოტა, ინტერესს ზრდიდა:

პაციენტები იღებენ სპეციალურ ნებართვას (ე. წ. საშვს), რომელსაც გასცემს დე ფაქტო ადმინისტრაციული ორგანო და ამის საფუძველზე გადმოდიან ენგურის ხიდის გავლით... ქართული მხარე მათ სთავაზობს გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას, ამბულატორიულ მომსახურებასა თუ გეგმიურ ქირურგიულ მომსახურებას...

**„თუკი თბილისში აღარ ჩამოვლენ, ვეღარ დაინახავენ რეფორმებს, რაც ჩვენთან არის... ისინი რომ თბილისში ჩამოდიოდნენ, სხვა თუ არაფერი, იმ ტრასას ხედავდნენ, რაც კარგი იყო... რომ ჩამოდიოდნენ და რამდენიმე დღე თბილისში რომ ცხოვრობდნენ, ხედავდნენ ჩვენი პოლიციის ქმედებას, ჩვენს სხვა სისტემებს, გარდაქმნებს... მთლიანობაში, რა თქმა უნდა, ჯანდაცვის სისტემის მიმართულება, ეს არის, მართალია, ვიწრო, მაგრამ მაინც სწორი მიმართულების გზა მათთან შერიგებისა“.**

ზურაბ შენგელიას თქმით, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის გამო, ბოლო პერიოდში აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკიდან თბილისისკენ წამოსული პაციენტების ნაკადი ლოგიკურად შემცირდა, თუმცა ამას არ ადასტურებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროში, პირიქით, როგორც მინისტრი **ქეთევან ბაკარაძე** ეუბნება რადიო „თავისუფლებას“, სამკურნალოდ თბილისში ჩამოსვლის მსურველ პაციენტთა რიცხვი წლიდან წლამდე „მკვეთრად იზრდება“:

**„პაციენტები იღებენ სპეციალურ ნებართვას (ე. წ. საშვს), რომელსაც გასცემს დე ფაქტო ადმინისტრაციული ორგანო და ამის საფუძველზე გადმოდიან ენგურის ხიდის გავლით... ქართული მხარე მათ სთავაზობს გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას, ამბულატორიულ მომსახურებასა თუ გეგმიურ ქირურგიულ მომსახურებას...“**

უხეში დათვლით, ლაპარაკია ასობით პაციენტზე როგორც აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკიდან, ასევე სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკიდან. ადგილობრივ სტრუქტურებთან შეთანხმების გარდა, ისინი თბილისში თვითდინებითაც ჩამოდიან. ნაკადის ზრდის ტენდენციას ჩვენთან საუბარში ადასტურებს სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **თამაზ ბესტაევიც**. მისი თქმით, 2015 წელს პაციენტთა რიცხვი 463-ს შეადგენდა, რაც რამდენიმე ათეულით აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს:

**„ნაკადის ზრდას ვხსნი იმით, რომ ჩვენთან არიან მაღალკვალიფიციური ექიმები, არის კარგი მომსახურება, პირველ რიგში, მათთვის ხელმისაწვდომია, მეორე რიგში და ნდობის ფაქტორი აღდგა უფრო... რა თქმა უნდა, აქვთ დადებითი განწყობა და არიან მადლიერები. ბუნებრივია, ადამიანის ფსიქოლოგიაა — შვილს რომ გადაგირჩენს, მტერიც მოყვარე გახდება... ეს ბუნებრივი ფაქტორია და ასეა მაგათთანაც...“**

სამხრეთ ოსეთისა თუ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკიდან ჩამოსულ პაციენტებს საქართველოს სახელმწიფო მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების 100 %-იან დაფინანსებას სთავაზობს, რაც ძალიან აღიზიანებთ სოხუმისა და ცხინვალის ლიდერებს . სხვადასხვა დროს ისინი მკაცრად მოუწოდებდნენ ადგილობრივებს, რა ოპერაციების გაკეთებაც ადგილზე შეიძლება, იმის გასაკეთებლად თბილისკენ ნუ გარბიხართო, მაგრამ თბილისში ფიქრობენ, რომ ჯანმრთელობის საკითხები ბრძანებითა და საყვედურებით ვერ დარეგულირდება.

მე ვნახე ჩამონათვალი დაავადებებისა, რომელთა სამკურნალოდაც აფხაზეთიდან სხვაგან მიემგზავრებიან. სამწუხაროდ, ამ სიაში არის დაავადებები, რომელთა მკურნალობაც აქ შეიძლებოდა... უკვე არის ამის დრო...

თბილისისკენ წამსვლელთა ნაკადი შემცირდაო, ამბობს რადიო „თავისუფლების“ რუსულენოვან პროგრამა „ეხო კავკაზასთან“ საუბრისას ახალგაზრდა აფხაზი ექიმი, რომელმაც ქალაქ უფის უნივერსიტეტი დაამთავრა. თუმცა შემცირების ტენდენციაზე ის არადამაჯერებლად, ვარაუდის დონეზე ლაპარაკობს და არგუმენტის სახით აღნიშნავს, ადრე თუ ყველაფერზე თბილისისკენ გარბოდნენ, ახლა რაღაც-რაღაც დაავადებების განკურნება აქაც შეგვიძლიაო. თუმცა ადგილზე ამ მხრივ ვითარება სახარბიელო რომ არ არის, მისი კომენტარის ეს ფრაგმენტიც ცხადყოფს. აფხაზი ექიმი ბაზრის სიმცირესა და უსახსრობაზე აკეთებს აქცენტს.

თუმცა შერიგებასა და ნდობის აღდგენაზე როდესაც ვლაპარაკობთ, ყველასთვის ცხადია, რომ ეს მიმართულება მხოლოდ სამედიცინო სერვისების შეთავაზებით არ ამოიწურება და არც უნდა ამოიწურებოდეს. მაგალითად, ზურაბ შენგელია თვლის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა ადამიანებმა, პირველ რიგში, უნდა იგრძნონ, რომ ქართველებს მათი წუხილი, ტკივილი და გასაჭირი ესმით. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელი ამბობს, რომ მეტი დაახლოება და ნდობის აღდგენა მაინც შესაძლებელია, რუსეთის ჩასაფრებული და დეზინფორმაციაზე ორიენტირებული პოლიტიკის მიუხედავად.

სამომავლო პერსპექტივების თვალსაზრისით, სამოქალაქო სექტორში დიდ იმედებს ამყარებენ ასევე ევროკავშირის (შენგენის ზონის) ქვეყნებში უვიზო მიმოსვლაზე, რითი სარგებლობის უფლებაც თანაბრად ექნება საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, მცხოვრებს საქართველოს ტერიტორიაზე და, მათ შორის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რეგიონებში.

**ლელა კუნჭულია**

# ნუ ვაბრმავებთ ხალხს, ანუ „ანაკლია-პორტის“ ახალი დილემა!

**უთუოდ მისასალმებელია ზუგდიდის გამგეობის ინიციატივა, რომ — „პორტის მშენებლობამდე ანაკლიაში არქეოლოგიური გათხრები ჩატარდება“!**

ზუგდიდის გამგეობის ინიციატივამ, უცაბედად, შეურაცხადი პრეზიდენტყოფილის ალშფოთება გამახსენა, როცა, იგოეთი-კასპის გადასახვევთან, ავტობანის მშენებლობისას ანტიკური ხანის ნამოსახლარს და სამარხებს მიადგნენ მშენებლები და არქეოლოგებმა გარკვეული დროით მშენებლობის შეჩერება მოითხოვეს!

არქეოლოგების თხოვნას შლეგმა პრეზიდენტმა, თურმე, მუქარით უპასუხა — ორ კვირას გაძლევთ დროს, მორჩით ჩიჩქნას, თორემ ავტობანის ქვეშ დაგმარხავთ თქვენი ანტიკური სამარხებიანადო!

მე მაშინვე სტატია მივუძღვენი ამ შემთხვევას და გერმანიის მაგალითი გავიხსენე, როცა მაგდებურგიდან სტენდალისკენ ავტობანს აშენებდნენ, იქაც ნამოსახლარს მიადგნენ მშენებლები. არქეოლოგების პირველივე შენიშვნაზევე გაჩერდა მშენებლობა და არქეოლოგიური კვლევა-ძიება ორ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. საბოლოოდ დადგინდა, რომ საქმე მე-15, მე-16 საუკუნეების ნამოსახლარს ეხებოდა. მართალია გერმანელების ახალგაზრდული ასაკის ძეგლი ისტორიულ-არქეოლოგიური ღირებულებით ვერ შეედრება იგოეთის ანტიკური ხანის ნამოსახლარს, მაგრამ ყველა ქვეყანა იმითი ამაყობს რაც გააჩნია!

აქედან გამომდინარე, მისასალმებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინიციატივა, რომ — „პორტის მშენებლობამდე ანაკლიაში არქეოლოგიური გათხრები ჩატარდება!“

ყველაფერი რომ აქ მთავრდებოდეს, ყველაზე მეტად მე გავიხარებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვაგვარად არის საქმე, რაც ყველას გასაგონად უნდა გაცხადდეს:

— კარგა ხანია, ცნობილია, ანაკლია-პორტის მშენებლობის ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებული „ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“ ვერ აღმოჩნდა მზად ქვეყნის ეკონომიკური გასაჭირიდან გამომყვანი პროექტის განსახორციელებლად.

მე გარკვევით ვწერდი (იხ. საინფორმაციო ანალიტიკურ საგეტო „IVERIONI“-ში 30-06-2016; გაზეთები: „საქარველოს რესპუბლიკა“ 5 ივლისი, 2016 წ. № 123: „ილორი“ 5 ივლისი, 2016 წ. № 370), საქართველოს მთავრობის პირველ პირებთან ერთად, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ხუთივე კონტინენტი მოიარა პორტის ასაშენებელი ფულის საძებნელად, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მხრიდან, ფულის ნაცვლად, მხოლოდ „ქების სიგელებით“ დაბრუნდა!

ბუნებრივია, ეს ამბავი ჩემზე უკეთ სამთავრობო სტრუქტურებში იციან, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ ცდილობს შარში გახვეულ უბადრუკებს — „ხაზარაძე და კონტი ჯგუფს“ გვერდში დაუდგეს და ქვეყანას და ხალხს მოუბოდიშონ დანაპირების შეუსრულებლობის გამო!

ამის ნაცვლად, იმავე — ქვეყნის და მისი მოსახლეობის თვალის ასახვევად, ხან „ანაკლია პორტს ციფრებში“ წარმოადგენენ (სამეგრელო-ზემო სვანეთის საინფორმაციო პორტალი NEWSPORTAL.ge ივლისი 4, 2016 ), ამჯერად კი რადიო „ათინათის“ საინფორმაციო სამსახური გვამცნობს, რომ — „პორტის მშენებლობამდე ანაკლიაში არქეოლოგიური გათხრები ჩატარდება... სამუშაოსთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 25 ათასი ლარი გამოიყო და გათხრები, სავარაუდოდ, სექტემბერში დაიწყება“.

„არქეოლოგიური გათხრები“ პორტის მშენებლობის გადასაწევად ყოვლად უბადრუკი მიზეზია. იგი დროის გასაყვანადაა მოგონილი. მავანი „ოცნებობს“ — ამასობაში, იქნება, სადმე ფული იშოვოს ანაკლია პორტის ტენდერში გამარჯვებულმაო!

პორტის მშენებლობის დაწყება რომ არქეოლოგიურ გათხრებს ხელს არ უშლის, შესანიშნავადაა ჩამოყალიბებული ანაკლია პორტის მშენებლობის „ერაგია-ქარჩავას კონცეფციაში“, რაც არაერთხელ გამოქვეყნდა 2013-2016 წლებში — საინფორმაციო ანალიტიკურ საგეტო „IVERIONI“-ში „საერთო გაზეთში“, „ილორში“ და სოცქსელებში!



**დავით ქობალია**



## ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრი თანამდებობიდან გადადგა

**ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. პრემიერ-მინისტრი არტურ მიქვაბია თანამდებობიდან გადადგა. გადადგომის მიზეზები არ სახელდება.მიქვაბიამ გადადგომის შესახებ ე.წ. მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განაცხადა. მისი მოვალეობების შემსრულებლად კი პირველი მოადგილე შამილ აძიმბა დაინიშნა — საქმიანობას საოკუპაციო რეჟიმის მინისტრები დროებით ძველი შემადგენლობით განაგრძობენ.**

# 2018 წლის პირველ ნახევარში თბილისში ამერიკული ჰოსპიტალი გაიხსნება

**2018 წლის პირველ ნახევარში თბილისში უმაღლესი სამედიცინო სტანდარტების ამერიკული ჰოსპიტალი გაიხსნება. როგორც ჰოსპიტლის ერთ-ერთი დამფუძნებელი დიმიტრი ტვილდიანი „კომერსანტთან“ განმარტავს, ამ დროისთვის მიმდინარეობს ოპერატორის შერჩევის პროცესი, რომელიც ყველა შემთხვევაში ამერიკული კომპანია იქნება და ჰოსპიტალს ოპერირებას გაუწევს.**

ტვილდიანი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც მოხდება ოპერატორი კომპანიის შერჩევა, სამშენებლო სამუშაოების შემსრულებლის შესარჩევად ტენდერი გამოცხადდება. მისი ინფორმაციით, ჰოსპიტლის მშენებლობა მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყება და 18 თვეში დასრულდება.




„ეკონომიკის სამინისტროსგან მშენებლობის ნებართვა უკვე გაცემულია. უახლოეს მომავალში ტენდერის საფუძველზე შეირჩევა სამშენებლო კომპანია, რომელიც პროექტს განახორციელებს. ზედამხედველები უცხოელები იქნებიან, თუმცა, მონაწილეობის მიღება ქართულ კომპანიებსაც შეეძლებათ“, – აცხადებს ტვილდიანი.

მისი ინფორმაციით, პროექტის მთლიანი ღირებულება 46 მილიონი აშშ დოლარი იქნება.

ახალი ჰოსპიტალი თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება. პროექტს ერთობლივად ახორციელებენ კომპანია „თიბისი ჰოლდინგი,“ ჰოლდინგი „კონტი“ და დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტი (აიეტი). ჰოსპიტალში 400 ადამიანის დასაქმება იგეგმება.

პროექტი 2014 წელს დაანონსდა. მაშინ ითქვა, რომ 150 საწოლზე გათვლილ ამერიკული სტანდარტების მრავალპროფილიან ჰოსპიტალში დაინერგება JCAO უმაღლესი ამერიკული სტანდარტები და ტექნოლოგიები, რომელსაც ანალოგი არ აქვს საქართველოში. ჰოსპიტალში სამუშაოდ მოწვეული იქნებიან ამერიკაში ლიცენზირებული ქართველი ექიმები. მის ბაზაზე, სამედიცინო ინსტიტუტ „აიეტისა“ და აშშ-ის წამყვანი სამედიცინო უნივერსიტეტების მონაწილეობით, ჩამოყალიბდება და განვითარდება სასწავლო-სამედიცინო ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს სამედიცინო დარგის პროფესიონალთა ქსელის გაფართოებას.

დიმიტრი ტვილდიანი 2014 წლის აგვისტოში „კომერსანტთან“ ინტერვიუში აცხადებდა, რომ ჰოსპიტალში არსებული ფასები არსებულთან დაახლოებით 50 პროცენტით ძვირი იქნება.

„თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სახელმწიფო აფინანსებს ძირითად ნაწილს ამ ხარჯებისას, მოსახლეობის 90 პროცენტს ექნება საშუალება, რომ ჩვენი მომსახურება მიიღოს. ჩვენი მომსახურება იქნება რამდენიმეჯერ იაფი, ვიდრე ევროპაში, თუმცა ცოტა უფრო ძვირი, ვიდრე საქართველოში“, – აცხადებდა ტვილდიანი.

მისი თქმით, გაკეთდა სპეციალური კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ როდესაც ქართველები საზღვარგარეთ სამკურნალოდ მიდიან, ძირითადად მიდიან იმიტომ, რომ ეძებენ ხარისხს. ამერიკული ჰოსპიტლის გახსნის წინაპირობაც ეს გახდა.

„როდესაც ჩვენთან ამერიკიდან ექიმებს მოვიწვევთ, ყველას თავის კლინიკასთან კავშირები ექნება. მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ჩავერთოთ ქსელებში, რომელიც მოგვცემს საშუალებას, რომ საჭიროების შემთხვევაში გადასანერგი ორგანოებიც ჩამოვიტანოთ და შევეცდებით, რომ პაციენტები სამკურნალოდ საზღვარგარეთ არ გავუშვათ. ჰოსპიტალი ფართო პროფილის იქნება. აუცილებლად იქნება თერაპიაც, მეანობა-გინეკოლოგიაც, ქირურგიაც, პედიატრიაც, ონკოლოგიაც, დიაგნოსტიკური და ლაბორატორიული მომსახურებაც და იქნება პოლიკლინიკური მომსახურებაც“, –აცხადებდა ტვილდიანი.

**სოფო ქსოვრელი**



## კედლის ვერტიკალური გამწვანება ეწყობა

**პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში დავით აღმაშენებლის გამზირ №59-ში მდებარე შენობის დასავლეთით, კედლის ვერტიკალური გამწვანება ეწყობა. პროექტის მიხედვით, შენობაზე ყვავილები და სხვადასხვა მცენარე ვერტიკალურად, კედელზე დამონტაჟებულ სპეციალურ მეტალის კონტეინერებში იქნება მოთავსებული, რომელზეც წვეთოვანი სარწყავი სისტემა დამონტაჟდება.**

**შენობების ვერტიკალური გამწვანება მთელ მსოფლიოში პოპულარობით სარგებლობს. გარდა იმისა, რომ ქალაქის ვიზუალურ მხარეს ალამაზებს, გარემოს ეკოლოგიურ სისუფთავეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს, ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს შენობის შიგნით ტემპერატურის დარეგულირებისთვის. მწვანე კედლის კონსტრუქციის მონტაჟის სამუშაოები აღნიშნულ მისამართზე უკვე მიმდინარეობს. რკინის კონსტრუქციისა და სარწყავი სისტემის აწყობის შემდეგ, კედელზე უშუალოდ მწვანე საფარის მოწყობის სამუშაოები დაიწყება, რომელიც პროექტით გათვალისწინებულ ვადებში - წლის ბოლომდე დასრულდება.**

## „ბარაკონი“ გუდაურში სასტუმროს ხსნის

**შპს „ბარაკონი“ ახალი კომპონენტის „უმასპინძლე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას მეწარმეობის განვითარების სააგენტო განახორციელებს. სააგენტოს დახმარებით განხორციელებული პროექტის ჯამური ინვესტიცია 600,000 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო სასტუმროში, რომელიც 2016 წლის აგვისტოს თვეში გაიხსნება, დასაქმებულთა რიცხვი 13 ადამიანს გაუტოლდება.**

**ახალი სასტუმრო ყაზბეგის რაიონ სოფელ გუდაურში გაიხსნება. კომპანიის გაყიდვების სტრატეგიის მთავარი მიზანია, ფასდაკლებების სისტემითა და სეზონური ღონისძიებებით მოიზიდოს სასურველი მომხმარებლები, შექმნას სასიამოვნო გარემო და შეინარჩუნოს ერთგული მომხმარებლები. 2016 წლიდან სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ახალი კომპონენტი დაემატა, რომელიც მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში განავითაროს სასტუმრო ბიზნესი, შექმნას სამუშაო ადგილები, მოიზიდოს მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყოს რეგიონის განვითარებას. ახალი კომპონენტი რეგიონული მეწარმეებისათვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას და ამასთანავე ხდება წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვა ე.წ „ფრანჩაიზინგის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადების თანადაფინანსებით.**

## პატარა ოაზისი საცობის პრობლემებს მოხსნის



**თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გივი კუბლაშვილმა და დიდუბის რაიონის გამგებელმა ირმა ზავრადაშვილმა წერეთლის გამზირზე, დიდუბის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების კუნძულის შევიწროების ხარჯზე, გზის გაფართოების მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს.**

**მერიის ცნობით, კუნძული 4 მეტრით შემცირდება და პროექტის მიხედვით, ოვალის ფორმას მიიღებს. ქვაფენილის ნაცვლად, რომლის დემონტაჟიც უკვე განხორციელდა, დიდუბის რაიონის გამგეობა აღნიშნულ ტერიტორიაზე გამწვანების ღონისძიებებს განახორციელებს.**

**ამ ეტაპზე ბორდიურების მოხსნისათვის და გამწვანების სამუშაოების დასაწყებად საჭირო პროცედურები მიმდინარეობს. პროექტის მიზანია დიდუბის მეტროსთან, წერეთლის გამზირზე ავტომობილების გამტარუნარიანობის გაუმჯობესება და საცობების შემცირება.**

**სარეკონსტრუქციო სამუშაოებს თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის კონტრაქტორი კომპანია შპს „აღმაშენებელი“ აწარმოებს. სამუშაოები მიმდინარე წლის აგვისტოს შუა რიცხვებში დასრულდება.**

**⊙ რეგიონული მაცნე**

# იმერეთის 139 სოფელში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა იგეგმება

**საქართველოს მასშტაბით ყველა სოფელში, რომელშიც 200-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ინტერნეტმომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის შეყვანა განხორციელდება, რისთვისაც გასულ კვირაში საქართველოს მთავრობის სხდომაზე ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა.**

ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის მეოთხე თაობის ინტერნეტით უზრუნველყოფისთვის გაწერილი სამოქმედო გეგმის მიხედვით, ინტერნეტი დამატებით 2 ათასზე მეტ დასახლებაში გახდება ხელმისაწვდომი. პროექტი ხორციელდება ფონდ „ქართუსა“ და ეკონომიკის სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ. სააგენტომ დააფუძნა სპეციალური კომპანია Open Net, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება პარტნიორობა კერძო და სახელმწიფო სექტორს შორის. პირველ ეტაპზე ინტერნეტიზაციის პროგრამა იმერეთის 11 მუნიციპალიტეტის 139 სოფელში განხორციელდება. მათ შორისაა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი ხომული. როგორც სოფლის მკვიდრი დავით ჯიმშელეიშვილი ამბობს, წყალტუბოს ქვედა ზონის სოფლებში ინტერნეტპროვაიდერების მომსახურება ამჟამადაც ხელმისაწვდომია, რაც ქუთაისთან ახლომდებარეობითაა განპირობებული, თუმცა ინტერნეტის ხარისხი და სიჩქარე არცთუ სახარბიელოა. დავით ჯიმშელეიშვილის თქმით, სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი საკაბელო ხაზით იღებს მომსახურებას და მხოლოდ მცირე ნაწილი სარგებლობს მობილური ინტერნეტით. დავით ჯიმშელეიშვილი იმასაც დასძენს, რომ საკაბელო ხაზების დაზიანების გამო ხშირად ინტერნეტი გათიშული აქვთ და ამჯერადაც, მეორე კვირაა, მით ვერ სარგებლობენ.



მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სოფლის უზრუნველყოფას დადებითად აფასებს სოფელ ხომულის მცხოვრები ნანა მაისურაძეც, რომლის თქმითაც, ინტერნეტზე მოთხოვნა დიდია და სოფლად მცხოვრებთათვის მნიშვნელოვანია, პროგრამა დროულად განხორციელდეს და წინასაარჩევნო დაპირებად არ დარჩეს.

ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, იმერეთის სოფლების ჩამონათვალში ვერ მოხვდა ვანის მუნიციპალიტეტის სოფელი ფერეთა. ფერეთის მკვიდრი ანდრია ქარციძე ამბობს, რომ სოფლის მოსახლეობისთვის ცნობილი არ არის, თუ რა კრიტერიუმის გამო ვერ მოხვდა სოფელი პროგრამაში. ანდრია ქარციძის თქმით, რთული რელიეფური მდებარეობის გამო სოფელში ამ დრომდე ხელმისაწვდომი არც საკაბელო მომსახურებაა და სოფლის მცხოვრებნი, ძირითადად ახალგაზრდები, მობილური ინტერნეტით სარგებლობენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 2 000-ზე მეტი ქალაქისა და სოფლისთვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის ქსელის შესაქმნელად „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა“ მთავრობის სხდომაზე ცოტა ხნის წინათ დამტკიცდა და პროგრამის განხორციელებისთვის, სავარაუდოდ, 100 მილიონი დოლარი დაიხარჯება.

**თათა კაჭკაჭიშვილი**

ქაჯობა თუ... უილაჯობა?!



## ნუგზარ ფოფხაძე:

# არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი!

**სრულიად შემთხვევით წუხანდელი „პრიორიტეტი“ უნახავთ ჩემიანებს. ასეთი პრიმიტიული „ცირკით“ ისინი, როგორც წესი, არ ერთობიან, მაგრამ, კეთილმოსურნეს რა დალევს და, მოსალოდნელი „ავანტიურის“ შესახებ წინასწარი გამაფრთხილებელი ზარის შემდეგ მოხდა გამონაკლისი... ამ „უბედურების“ ნახვის შემდეგ შვილიშვილმა მესიჯი გამომიგზავნა შეკითხვით: ამათ შენგან რაღა უნდათო?**

მარტო ერთი მესიჯი და ზარი რომ ყოფილიყო, კიდევ არა უშავს... მაგრამ წამოვიდა, მარა, რა წამოვიდა...

მიზანი? ცოტა არ იყოს, გაუგებარია... ესეც ფარულად გადაღებული კადრები ხომ არ არის, ავადმყოფურ ინტერესს რომ იჩენს ზოგიერთი პრეტენზიული მდედრი-წამყვანი?

დავიჯერო, ვინმეს გულწრფელად აინტერესებს, ვისთან ვმეგობრობდი 20-30 წლის წინათ, ვინ მყავს აყვანილი ე.წ. „მფარველობის“ ქვეშ, ანდა, ვის „ვუგორებ კოჭს“?

ეტყობა, სხვა ფორმით ვერ „შემიტყუეს“ დებატებში...

ბევრი სხვა „რამის“ პარალელურად ერთი ვერ გავიგე, რატომ ან რა თემაზე უნდა „ვედებატო“ ბ-ნ თემურ ხაჩიშვილს? მასავით ვარ ჩაბმული პოლიტიკურ თუ წინასაარჩევნო პროცეში, 75-ს მიტანებულ კაცს რაიმე კარიერისტული მიზანი მაქვს თუ რა?.. და ამის გასარკვევად რატომ აირჩია ეს „პოპულარული“ ეკრანი, განა მშვენივრად არ იცის ჩემი ადგილსამყოფელი და ტელეფონის ნომერი?!

ჰოდა, ავიღე ტელეფონი და დავურეკე ბ-ნ ხაჩიშვილს. მივიღე არამარტო სათანადო ახსნა, არამედ ცალსახად გამოთქმული პირადი სიმპათიებიც!!!

ახლა რომ ვინმემ ეს ჩემი „აღიარება“ გამოიყენოს და ბ-ნი ხაჩიშვილის პოლიტიკური გუნდის (მით უმეტეს, მისი ერთი ნამეტნავად „ზნეობრივი“ თანამებრძოლის) მფარველად გამომაცხადოს, ხომ მექნება თავი მოსაკლავი?! მეგონა, მოვიშორე „კრემლის აგენტის“ იარლიყი და ამან ისევ არ „დამაწინაურა“?

ამ საუბრის და მოყოლით გაცნობილი ტელეგადაცემის შემდეგ, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ახალი წინასაარჩევნო „პიარკამპანია“ გაჩაღებულა და ჩემი პერსონით „სუფრა დაამშვენეს“. ისე რომ, არც კი შეეშინდათ ყელში გაჩხერვის...

რა თქმა უნდა, ხაჩიშვილის „გუნდმა“ ჩინებულად იცის საკუთარი შესაძლებლობები და, ვფიქრობ, არავითარი ილუზია არ უნდა ჰქონდეთ წინასაარჩევნო მარათონის შედეგებთან დაკავშირებით.

მაგრამ ხაჩიშვილისტებმა ისიც კარგად იციან, რომ ამ „სკანდალური“ გზით შეუძლიათ მუდმივად თუ არა, ინტენსიურად მაინც დაიმკვიდრონ ადგილი მედია-სივრცეში სენსაციების მოყვარულ მოჟურნალისტო ელემენტებთან თუ „მონათესავე“ რესპონდენტებთან დიალოგის (დებატების, კამათის, ლანძღვა-გინების და ა.შ.) გზით.

„პრიორიტეტი“ ამის თვალნათელი მაგალითია. სხვათა შორის მისთვის ეს პირველი არ არის და, როგორც ჩანს, არც უკანასკნელი.

საზოგადოდ ცნობილია, რომ დიდი ძალის მქონე მედიას ერთი პუბლიკაციით შეუძლია „ვარსკვლავად“ (დადებითად თუ უარყოფითად) აქციოს ესა თუ ის პერსონა. მაგრამ ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებმა (მხოლოდ ბეჯითმა და არა...) პირველივე კურსიდან იციან ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ ათჯერ, ასჯერ უფრო დიდ ეფექტს იძლევა, ჟურნალისტური ჟარგონით რომ ვთქვათ, „არდანახვის“, „არშემჩნევის“ პრაქტიკა. მედიის ასეთი შეგნებული „სიბრმავე“ სასიკვდილო განაჩენია ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის, მით უმეტეს, თუ საზოგადოებას მაინცდამაინც გულზე არ ეხატება იგი...

მესმის, რომ საქართველოს სამართლებლივი სივრცე სასჯელის ამ უმაღლეს ზომას საბედნიეროდ აღარ ცნობს. მაგრამ, არავის აუკრძალავს მისი გამოყენება მედიასივრცეში.

პირიქით!

სამწუხაროდ, ამ პრაქტიკას არავინ იყენებს, რამეთუ ქართული მედია-სივრცე, განსაკუთრებით ტელევიზია, ცოცხლობს... სკანდალით! განსაკუთრებით იმ სკანდალით, რომელიც მეტწილად პოლიტიკას და პოლიტიკოსებს ეხებათ.

ამაზრზენია ეს რეალობა!

და ყველამ რომ დაიკავოს ამ მხრივ პრინციპული პოზიცია, მივიღებთ ჯანსაღ გარემოს, ანუ ნაკლებ სკანდალს, ნაკლებ სიბინძურეს, ნაკლებ პრიმიტივიზმს...

ეს „ეკოლოგიურად“ სუფთა გარემო საზოგადოების წინაშე გააშიშვლებს ყველა მედიასტრუქტურას, მათ ნამდვილ, რეალურ სახეს, რეალურ „ღირებულებას“, რაც უმალ იმოქმედებს ე.წ. „რეიტინგულობაზე“...

ჰოდა, მაღალი რეიტინგის მიღწევას ამ სკანდალებისა და მარაზმის გარეშე ჭირდება უფრო მეტი ძალიხმევა – პროფესიონალიზმისა და ზნეობრიობის მაღალი სტანდარტი.

საკითხავია, რამდენი ტელევარსკვლავი თუ მოჟურნალისტო გოგო-ბიჭუნა „გაქაჩავს“ აუდიტორიის შენარჩუნებას ამ გზით, ამ მეთოდით, ამ ტექნოლოგიებით?

ვფიქრობ, ცოტა, ძალიან ცოტა! მათ შორის, დარწმუნებული ვარ, არ იქნებიან ისინი, ვინც ცნობილია სკანდალური ელფერის მქონე, სხვისი თეთრეულის ქექვის, ჭუჭრუტანაში ცქერის დაუოკებელი სურვილით აღსავსე პუბლიკაციებით, ვისი გვარ-სახელიც ახლა ყველას რომ აკერია პირზე, რამეთუ მათ მწირ განათლებას (უპირველესი ნიშანი), რესპონდენტთან ურთიერთობის ტექნოლოგიის სიღარიბეს და აშკარა პროვინციალურპრიმიტიულ ყელყელაობას ვერ გადაფარავს ვერც ხმის ტემბრი, ვერც ჭრელაჭრულა სამოსი და ვერც აშკარა უკულტურობა, მით უმეტეს, მდიდარი სექსუალური ცხოვრებით ტრაბახი, რომელიც ჩვეულებრივ, ადამიანურ სილაღედ უნდათ „შემოგვასაღონ“...

ყველაფერი, რასაც ახლა ვამბობ, ჩემმა მეგობრებმა ცხელ გულზე ნათქვამ სიტყვად მიიღეთ, რომლის მიზანიც მაინც გარკვეული ინფორმაციის მოწოდება გახლავთ ვილაც-ვილაცების წამონაროშის ასახსნელად!

რაც შეეხება დებატებში ჩემს გამოწვევას, ისე და იქამდე არ აუდგა გვერდები მავანს (რესპონდენტს თუ წამყვანს), ვიდრე მიხილავს ამ სეირისა და მარაზმის მონაწილედ!

ჰოდა, ისევ ტაში, კუკური!!!!!



# თამარ კინწურაშვილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეზოს დასუფთავებაში 165 ათასი ლარი გადაიხადა!

**საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი ხელმძღვანელი, მიხეილ სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი, გიგა ბოკერიას ყოფილი მოადგილე და დღეს „მედიის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი“ (ამ ორგანიზაციის ვებ-გვერდზე მითითებულია, რომ თავისუფალი მედიის განვითარებას უჭერენ მხარს (?!) თამარ კინწურაშვილი დღეს თავისი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად (თავისუფალი მედიის განვითარების მისიის ფარგლებში) იმ მედიასაშუალებების სახელმწიფო სტრუქტურებთან კონტრაქტების დათვლას სახავს, რომელი მედიასაშუალებებიც, რბილად რომ ვთქვათ, მიხეილ სააკაშვილსა და, შესაბამისად, „ნაცმოძრაობას“ გუნდრუკს არ უკმევენ.**

სწორედ მსგავსი კვლევა დადო რამდენიმე კვირის წინათ კინწურაშვილის ფონდმა, სადაც განსაკუთრებით იმ სააგენტოებთან თუ სხვა სახის მედიასაშუალებებთან გაფორმებული საბიუჯეტო სტრუქტურების კონტრაქტების გამო მოთქვამდა, რომლებიც მათი შეფასებით „პრორუსულ პროპაგანდას ეწევიან და ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან არიან დაკავშირებული“.

ეს სხვა თემაა, რაზეც სასამართლო იმსჯელებს, მანამ კი, საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ძალიან მცირე ფრაგმენტს იმ ხარჯებისა, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სწორედ თამარ კინწურაშვილის ხელმძღვანელობის დროს იქნა გაწეული.



აქვე, აღვნიშნავთ, რომ ტელევიზიას, რა თქმა უნდა, ფინანსური რესურსი ესაჭიროება, რათა მან ნორმალური ფუნქციონირება შეძლოს, თუმცა როგორ ფუნქციონირებდა კინწურაშვილის დროს საზოგადოებრივი მაუწყებელი (რომელმაც თავი მხოლოდ გველივით დაკლაკნილი ლოგოთი დაგვამახსოვრა) და ამის ფონზე რა ხარჯებს ეწეოდა ტელეკომპანია, რომელიც ხალხის ჯიბიდან ფინანსდება, დასკვნის გაკეთებას მკითხველს მივანდობთ.

მაშ ასე:

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2006 წლის 15 თებერვალს 232 657 ლარის ღირებულების ტექნიკა შეიძინა, დაახლოებით იმავე პერიოდში კი, 418 556 ლარი ფილმების თარგმნა-გახმოვანებაში დახარჯა.

2006 წლის 23 თებერვალს კინწურაშვილის მაშინდელმა უწყებამ 277 200 ლარის ღირებულების საწვავი შეიძინა.

როგორც ჩანს, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის 2006 წლის 15 თებერვალს შეძენილი ტექნიკა საკმარისი არ აღმოჩნდა და იგივე ტექნიკის შესაძენად, უწყების ბიუჯეტიდან 175 430 ლარი გაიხარჯა.

ტექნიკა საზმაუწყებელმა იმავე წლის 25 მაისს შეიძინა (ორჯერ), შესაბამისად, 287 550 და 215 315 ლარის ღირებულების.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ იმავე პერიოდში, კინწურაშვილის ქვემდებარე უწყებამ ტექნიკა შეიძინა 7 ივნისს, 27 ივნისს და 29 ივნისს 3-ჯერ!!! დახარჯულმა თანხამ, შესაბამისად, 48 460; 7 700; 41600; 432 602 და 126 958 ლარი შეადგინა.

2006 წლის 4 მაისს კი, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 62 357 ლარის ღირებულების კასეტები და დისკები შეიძინა.

იმავე პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 45 ათასი ლარის ღირებულების ტექნიკა ისევ შეიძინა, პარალელურ რეჟიმში კი, „გადაუდებელი აუცილებლობის“ მუხლით, 27 აპრილს (ორჯერ) 68 418 და 121 815 ლარის ღირებულების ტელე-რადიოაღჭურვილობა შეისყიდა.

ტექნიკის შესყიდვით დაიწყო საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2007 წელიც და უკვე 17 იანვარს, ერთ დღეში ოთხჯერ (!?) განახორციელა შესყიდვა, რომელთა თანხობრივი მოცულობა 51 970; 76 515; 163 682 და 26 948 ლარი იყო.

მხატვრული ფილმების თარგმნა-გახმოვანებისთვის, 2007 წლის დასაწყისიდანვე, საზმაუს ბიუჯეტიდან 259 862 ლარი, ხოლო დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების თარგმნა- გახმოვანებისთვის 86 555 ლარი გავიდა.

2007 წლის 15 და 16 მარტს, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ტექნიკის შეძენა ისევ 5-ჯერ – 326 125; 11 962; 429 519; 186 965 და 90 550 ლარის მოცულობით განახორციელა.

აქვე გეტყვით, რომ ისევ და ისევ ტექნიკის შესაძენად, 13 სექტემბერს განსხვავებულად დიდი თანხა, 749 191 ლარი დაიხარჯა.

და რაც ყველაზე საყურადღებოა: 2007 წლის 25 სექტემბერს, კინწურაშვილის მაშინდელმა უწყებამ საოფისე ფართის დალაგებისა და მიმდებარე ეზოს მოვლისთვის, 165 ათასი ლარი გადაიხადა.

26, 29 და 30 (ორჯერ) ოქტომბერს, საზმაუს ბიუჯეტი ისევ ტექნიკის შეძენის მუხლით 37 070; 118 024; 69 793 და 153 416 ლარის ოდენობით გაიხარჯა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ცენტრალურ შენობაში განთავსებული სასტუდიო-სააპარატო სათავსებისთვის განკუთვნილი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისთვის კი 2007 წლის 5 დეკემბერს 796 447 ლარი გაიცა.

და კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: იმავე წლის 17 დეკემბერს, ტელევიზიის რებრენდინგ მომსახურებისთვის 748 374 ლარი იქნა გადახდილი.

საინტერესოა, თითქმის 750 ათასი ლარი თუ ქალბატონმა კინწურაშვილმა იმ გველისებური ლოგოს შექმნაში გადაიხადა, რომელიც კარგა ხანს საზოგადოებისა და იუმორისტული გადაცემების ხუმრობის თემა იყო, აქ შესაძლოა, სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე შესაბამისი ორგანოებიც დაინტერესდნენ. სხვა რებრენდინგი, თამარ კინწურაშვილის ხელმძღვანელობის დროს, როგორც მახსოვს, საზოგადოებრივ მაუწყებელს არ განუცდია (აღნიშნულის დასაკონკრეტებლად საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას ოფიციალურად მიმართავს და პასუხს მიღებისთანავე გაასაჯაროებს).

და კიდევ ერთი საინტერესო ფრაგმენტი: საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან 54 600 ლარი 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების გრაფიკულ გაფორმებას მოხმარებია!

შეგახსენებთ, რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ მცირე ნაწილი იმ ხარჯებისა, რაც თამარ კინწურაშვილის საზოგადოებრივი მაუწყებლის თავმჯდომარეობის მხოლოდ ორი წლის მანძილზე იქნა გაწეული.

**კოკი ამყოლაძე,**
**„ნიუსპრესი“.**

**P. S. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, თამარ კინწურაშვილის ამჟამინდელ ორგანიზაციას (მედიის განვითარების ფონდი) ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან 101 ათასი ლარი გრანტის სახით აქვს მიღებული.!..**

**ბათუმში** ცხოვრობს სოლიდური ასაკის კაცი შოთა ზოიძე, არც თუ ურიგო პოეტი, მაგრამ დიდად ამბიციური, პოლიტიკაში მუდამ ხელმოცარული და კაცობაში კი, უბრალოდ ჩაჭრილი.

ეს კაცი პერიოდულად, ძირითადად ცენტრალურ გაზეთებში, ლანძღვა-გინების კორიანტელს აყენებს, ანთხევს ბოღმას და მის ამ ქმედებებს დასასრული არ უჩანს. სამწუხაროდ, გაზეთების რედაქციები მის ამ გაუთავებელ ინსინუაციებს დაუბრკოლებლივ აქვეყნებენ.

ჩემსა და შოთას შორის გაცნობის დღიდან კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ის გაზეთ საბჭოთა აჭარაში“ მუშაობდა, მე თბილისში — ფილოსოფიის ინსტიტუტში და, როცა პუბლიცისტური მოღვაწეობა დავიწყე, მოხდა ჩვენი დაახლოება.

ჩვენ შორის ურთიერთობა დაიძაბა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალე, როცა ის ასლან აბაშიძის პოლიტიკის ერთგული დამცველი გახდა, მე კი ამ პოლიტიკის მკაცრი კრიტიკოსი. ჩვენ რამდენიმე მკვეთრი საგაზეთო პოლემიკა გვქონდა და საკმაოდ არაკორექტულიც. ვინ მეტს გადადიოდა ზღვარს მაშინ, დღეისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

დრომ აჩვენა, რომ ადრე თუ გვიან, მით უმეტეს, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, ჩვენი გზები გაიყრებოდა, რადგანაც მას კომუნისტური ნოსტალგია სტანჯავს, საბჭოთა კავშირი ენატრება და გამოუსწორებელი რუსეთუმეა. იგი ხშირად და სიამაყით აცხადებს: „რუსი ვანია მირჩევნია ამერიკელებსაც და ევროპელებსაც“. მე სრულიად საწინააღმდეგო აზრის ვარ.

გავიდა წლები, ვითარება შეიცვალ, ა. აბაშიძემ შ. ზოიძე პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა. მე კი — 2004 წლის 20 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს. იმავე წლის დეკემბრის პირველ ნახევარში მოულოდნელად უმაღლეს საბჭოში შ. ზოიძე გამომეცხადა. ლამის ცრემლმორეულმა შემომჩივლა, რომ ორ დღეში თბილისში მივემგზავრები ერთი ცნობილი შემოქმედის იუბილეზე და საჩუქარს ვინ ჩივის, გზის ფულიც კი არა მაქვსო.

კარგად არ მახსოვს იმ დღესვე თუ მეორე დღეს აპარატის თანამშრომლებში იმდენი ფული შევუგროვე, რომ, როგორც გადმომცეს კარგა გვარიანი საჩუქრით ხელდამშვენებული გაემგზავრა თბილისში. თბილისიდან დაბრუნებულმა თანადგომისთვის მადლობა გადამიხადა და იუბილარის ჩემდამი მოძღვნილი წიგნიც გადმომცა.

არ დავმალავ, ეს ფაქტი ჩემთვის ორმაგად სასიამოვნო იყო. ჯერ — ერთი, კაცს ხელი გავუმართე და მეორე და მთავარი: ვირწმუნე, რომ ჩვენ შორის დაძაბული ურთიერთობა დასრულდა. თურმე სადა ხარ!

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, შოთა ხან „საქართველოს რესპუბლიკის“, ხან კიდევ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან მესხმოდა თავს. მე ჩემი მდგომარეობის გათვალისწინებით მასთან პოლემიკაში არ შევსულვარ. მაგრამ, როცა მან მორიგ წერილში ისლამის ხელშეწყობაში ცილი დამწამა და ლამის ერის ღალატში დამადანაშაულა, დუმილი აღარ შეიძლებოდა.

ვთხოვე აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს დავით თედორაძეს და მან გაუკეთა ორგანიზება შეხვედრას, რომელიც შედგა მისსავე კაბინეტში. შეხვედრას ბატონი დავითიც ესწრებოდა. ჩემ შეკითხვებსა და შენიშვნებზე დუმილი ამჯობინა. ბოლოს გამოსავალი გამონახა და უბრალოდ იცრუა — „მე ასე არ მეწერა, რედაქციამ ჩაამატაო“.

რა თქმა უნდა, მე ამას ვერ დავიჯერებდი, რადგანაც ამ გაზეთებთან მრავალწლიანი თანამშრომლობა მაკავშირებდა და ვიცოდი გაზეთის რედაქციები მსგავს რამეს არ იკადრებდნენ. მაინც ვუთხარი, რომ მიეწერა გაზეთისთვის, რასაც ამბობდა. მაშინვე გაჩუმდა.

ამის შემდეგაც, რაც ვიცი, ორჯერ თუ სამჯერ კიდევ გამკრა კბილი, თუმცა კვლავ არ მიპასუხია. მაგრამ ამა წლის 15 ივლისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№131), არც მეტი, არც ნაკლები, მან 3,5 წლის შემდეგ გაუმართლებლად მიიჩნია ჩემი არჩევა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად ... პოლიტიკური ნიშნით. აი რას წერს იგი:

„ბატონმა ალიოშამ (იგულისხმება ბათუმის უნივერსიტეტის რექტორი 2008-2015 წლებში პროფესორი ალიოშა ბაკურიძე — **მ. მ.**) ელვის სისწრაფით აირჩია პროფესორად ორთოდოქსი ნაცი მიხეილ მახარაძე. მე შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, როცა ბატონი მიშა, სააკოვში (?! — **მ. მ.**) არ აგერიოთ, თანაპარტიელებთან ერთად, იდგა სასამართლოსთან ტრანსპორანტით „თავისუფლება ვანო მერაბიშვილს!“. სამწუხაროდ, უნივერსიტეტში არავის გაუპროტესტებია. ესეც და უნივერსიტეტიც ცალკე საუბრის თემაა“.

**პირველი ტყუილი:** ვანო მერაბიშვილის დასაცავად კი არა, ცხოვრებაში არავითარი ტრანსპარანტი არ მჭერია ხელში;

**მეორე ტყუილი:** სულაც არ ავურჩევივარ პროფესორად „ელვის სისწრაფით“. შოთასნაირებმა მაშინ დააშანტაჟეს უნივერსიტეტის რექტორი და კონკურსი შეჩერდა, მე კი საბუთების უკან გამოტანა მომიხდა.

სამი თვის შემდეგ, აჭარის მაშინდელი ხელმძღვანელის, ვისთანაც საერთოდ არ მქონია ურთიერთობა, ჩარევით ხელმეორედ გამოაცხადეს კონკურსი და ამის შემდეგ ამირჩიეს პროფესორად. გამოდის, რომ მეცნიერებისგან შორს მდგომ ხელისუფალს უფრო სცოდნია ჩემი ფასი, ვიდრე პოეტსა და ვითომ (თუ რატომ „ვითომ“? ამის თაობაზე ქვემოთ გაიგებთ) პროფესორ შოთა ზოიძეს!

ეს თემა უფრო სხვა მხრივაა საინტერესო. დღევანდელ ხელისუფლებას, შინ თუ გარეთ ხშირად უხდება თავის მართლება, პოლიტიკური ნიშნით ოპონენტების დევნის გამო. ჩემ შემთხვევაში მსგავსი არაფერი ყოფილა. მაგრამ პოეტი შოთა ზოიძე ხელისუფლებას უკიჟინებს პოლიტიკური ნიშნით რატომ არ დაბლოკეთ მიხეილ მახარაძის კანდიდატურაო. კიდევ კარგი, იმდენი წინდახედულობა გამოიჩინა, რომ ჩემს კვალიფიკაციაშიც არ შეიტანა ეჭვი და პოლიტიკური ნიშნით შემომიტია.

კიდეც რომ დავებლოკე, რა იქნებოდა ამაში გასაკვირი? განა თავის დროზე შოთა ზოიძისნაირებმა არ გააძევეს მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტიდან დიდი ივანე ჯავახიშვილი.

ახლა ვნახოთ რამდენად მართებული იყო ჩემი არჩევა პროფესორად.

# რას მემართლება ვითომ პროფესორი?



დავიწყოთ იმით, რომ მე ვარ ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი და ჩემს სადოქტორო დისერტაციას გავლილი აქვს მოსკოვის უმაღლესი საატესტაციო კომისიის (BAK) უმკაცრესი საცერი. შოთა ზოიძის მსგავსად, არეულ დროში 1-2 წელიწადში არ დამიცავს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ბათუმში გადმოსვლამდე ვიყავი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს მიერ არჩეული დიპლომიანი პროფესორი და იმავე უნივერსიტეტის ფილოსოფიის დარგის ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი.

**ბათუმის უნივერსიტეტში თითქმის რვა წლის განმავლობაში მიზერული ანაზღაურებით ვკითხულობდი ფილოსოფიის წამყვან კურსებს. მხოლოდ ჩემი ჩამოსვლის შემდეგ, ჩემივე ინიციატივით შემოვიღეთ მე-20 საუკუნის ევროპული ფილოსოფიის ისტორია და კურსსაც მე ვკითხულობ. ამის გარდა, მე მიმყავს ისეთი კურსები, როგორებიცაა: შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, აღორძინების ეპოქის ფილოსოფია, ახალი დროის ფილოსოფია და მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფია. მეორე წელია, ვერ ვიღებ კუთვნილ აკადემიურ შვებულებას, ვინაიდან ამათგან ნახევარი კურსების წამკითხველი ლექტორი არა გვყავს ბათუმის უნივერსიტეტში...**

ამის გარდა, მე ვარ ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი ფილოსოფოსი, ვისი ნაშრომებიც ქართულ ენაზე (ვიმეორებ — ქართულ ენაზე) არის ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკაში, ჰიუსტონისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში. ვარ ლიტერატურაში (პუბლიცისტიკა) სახელმწიფო, ფილოსოფიაში აკად. შალვა ნუცუბიძის სახელობითი და მეცნიერებაში ეროვნული პრემიების ლაურეატი.

ასევე ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეული, რომელიც 2011 წელს მეცნიერებაში ეროვნული პრემიით აღინიშნა. აქედან მესამე და მეოთხე ტომების დაფინანსება საკუთრივ მე მოვიძიე. ოთხტომეულის მეორე შევსებული გამოცემაც ჩემი იდეითა და რედაქტორობით განხორციელდა და თანაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით.

ჩემი თაოსნობით გამოიცა ოთხტომეული — „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა“, რომელიც 12 წლის განმავლობაში თაროზე იყო შემოდებული. ამასთან, მე-4 ტომის რედაქტირებაში აქტიური მონაწილეობა მივიღე.

ბათუმის უნივერსიტეტმა გამოსცა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის ზურაბ კაკაბაძის რჩეული შრომების ერთტომეული და ეს ინიციატივაც ჩემგან მოდიოდა. ამის გარდა, ჩემი თაოსნობითა და მხარდაჭერით ბათუმში გამოიცა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, აბდულ მიქელაძის წერილები, ნიკო ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კრებული, მკითხველთა ფართო წრის მიერ მოწონებულია ჩემს მიერ შედგენილი კრებული — „კულტურა, ფილოსოფია, ღირებულებები“ და სხვა.

ამასთან, ვიდრე ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორად ამირჩევდნენ, მე ვიყავი (და ახლაც ვარ) ფილოსოფიის დეპარტამენტში ფილოსოფიის მიმართულების პროგრამების ხელმძღვანელი.

სანამ მკითხველს მივანდობდეთ მსჯავრის გამოტანას, შ. ზოიძის „სამეცნიერო“ და „პედაგოგიურ“ სამზარეულოშიც ჩავიხედოთ.

შ. ზოიძე 50 წელს გადაცილებული იყო, როცა გაახსენდა მეცნიერება და მოკლე დროში, ერთმანეთზე მიყოლებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები (სპეციალისტებისგან ვიცი, თუ რა „მაღალი“ დონისაა ეს სადისერტაციო ნაშრომები და ნამდვილად არ აღმოჩნდება კარგ მდგომარეობაში, ამ საკითხით თუ დავინტერესდები).

თითქმის არ ჰქონია ურთიერთობა უნივერსიტეტსა და სტუდენტებთან, მართალია დიდი დავიდარაბის (საერთო კონკურსში ვერ გავიდა და დამატებით გამოუცხადეს კონკურსი) შემდეგ, მაინც აირჩიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად. რამდენიმე თვეში კი გადაიყვანეს იმავე უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსად. მაშინ, როცა წესდებით, განსაკუთრებული დამსახურებისა და მხოლოდ პროფესორობის ვადის (6 წელი) ამოწურვის შემდეგ შეიძლება დადგეს პროფესორის ემერიტუსად გადაყვანის საკითხი.

სამართალი რომ იყოს, თუკი შ. ზოიძე პროფესორია, მინიმუმ მე აკადემიკოსობა მეკუთვნის.

მალე ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ამ ვითომ პროფესორ შ. ზოიძეს მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის შტატიც გაუკეთეს. ყველაფერი ეს ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს, რომელსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ლანძღავდა და აკრიტიკებდა შ. ზოიძე. მაშინ არავის მოსვლია აზრად პოლიტიკური ნიშნით დაებლოკათ მისი ეს „წინსვლები“. პოლიტიკურით არა, მაგრამ მეცნიერული და პედაგოგიური თვალსაზრისით, ეს აუცილებელი იყო.

ასე რომ, შ. ზოიძე თვეში იღებს 2 000 ლარს და აქედან სრულიად დაუმსახურებლად, სტუდენტთა შენატანიდან პროფესორ-ემერიტუსის 1000 ლარს. აი რა არის მართლაც მოსაკითხი და გასარკვევი.

შ. ზოიძე მაინც არ ისვენებს და უფრო მეტი უნდა. ის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ავალდებულებს მისი სტუდენტი შვილების განთავისუფლებას სწავლის ქირიდან.

შ. ზოიძე ასევე სპეკულირებს ტრაგიკულად დაღუპული ღირსეული გვარისა და ასევე ღირსეული პიროვნების, 2008-2012 წლების საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრის, ქ. ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატის თემურ ჩარკვიანის თემით. აქაოდა, ალიოშა ბაკურიძემ მას ამომრჩევლებთან შეხვედრის უფლება მისცა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, მე კი არაო. ამასთან, საუბარია 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.

შ. ზოიძე არაერთ წერილში ყველა ბრუნვაში ატრიალებს თემურ ჩარკვიანის სახელს. ბოლო წერილში, როცა მორჩება უარყოფით კონტექსტში მის მოხსენიებას, მას შემდეგ ფარისევლურად ჭირისუფლის როლშიც გვევლინება — ნაციონალებმა ჯერ გაადეპუტატეს, შემდეგ ფული აახიეს და თავი მოსაკლავად გაუხადესო. ცინიზმი ამაზე შორს ვერ წავა!

პოეტი, რომელიც ჰუმანისტი უნდა იყოს, არ ვრცელდება შ. ზოიძეზე. მას სულაც არ ანაღვლებს, თუ როგორი მტკივნეული იქნება ყოველი ასეთი გამოხდომა ჭირისუფლისთვის.

საერთოდ შ. ზოიძისთანა კაცზე იტყვიან, რეალობას აცდენილიაო. ამის ორ მაგალითს მოვიტან:

2012 წელს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში შ. ზოიძე კენჭს იყრიდა მაჟორიტარ კანდიდატად „ქართული ოცნებიდან“. მან არჩევნები პირწმინდად წააგო — მიიღო 27 პროცენტი, კონკურენტმა კი — 63 პროცენტი. მაინც იჩივლა როგორც პირველ ინსტანციაში, ისე სააპელაციოში. რა შედეგი დადგებოდა, ძნელი გასაგები არ არის. შეიძლება საქმე გაასაჩივრო 1-2 პროცენტზე, 3-ზე, მაგრამ 36 პროცენტზე?

ერთი სასწავლო წელი შ. ზოიძე მაგისტრანტებს უკითხავდა ლექციას უახლეს ქართულ ლიტერატურაში. სტუდენტების გადმოცემით, მისი საუბრის ძირითადი თემა ყოფილა... სტალინი.

დასასრულ, მაინც ვინ არის მისი ბოლოდროინდელი ოპუსების მთავარი სამიზნე?

უპირველესად ის, ვინც ყველა ეს სიკეთე გაუკეთა შოთას — 2008-2015 წლებში ბათუმის უნივერსიტეტის რექტორი - პროფ. ალიოშა ბაკურიძე, პიროვნება, რომლის მსგავსი რექტორი, მისივე ოპონენტების აღიარებით, მინიმუმ ბოლო 25 წელია, არ ჰყოლია ბათუმის უნივერსიტეტს.

აქ რომ შ. ზოიძის მხრიდან უმადურობაზე ვილაპარაკოთ, ეს იგივეა, რომ არაფერი ვთქვათ. აქ ისევ დიდი საბა დაგვეხმარება, მისი „მორიელი და კუ“.

შოთა ეს არის და მეტი არც მოეთხოვება, მან გესლი და შხამი უნდა ანთხიოს.



**მიხეილ მახარაძე,**
**ბათუმი, 22. 07.2016**

◉ არასამთავრობო სექტორი და მატყუარა ნაციონალი

**ექსკლუზიური ინტერვიუ სახელმწიფო აუდიტის პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის უფროს ზურაბ აზნაურაშვილთან**

# შესაძლოა, ლევან ვარშალომიძის საქმის გამოძიება პროკურატურაში გაგრძელდეს



**როგორც ცნობილია, „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვარშალომიძე სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დაიბარეს. უწყებაში პარტიის აჭარის სიის პირველი ნომერი მის წინასაარჩევნო დაპირებებთან დაკავშირებით „გამოიჭირეს".**

„ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ეს პროექტი განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ასევე მოვიზიდავთ თანხებს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან. ვპირდები აჭარის მოსახლეობას, რა შედეგიც არ უნდა დადგეს, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ჩვენ აუცილებლად ავაშენებთ სოციალურ სახლებს." — განაცხადა ვარშალომიძემ.

ვარშალომიძის სამსახურში დაბარება „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" მიმართვას უკავშირდება. საქმე ეხება ხელშეკრულებებს, რომელსაც ვარშალომიძე აფორმებს აჭარის მოსახლეობასთან და რომლის მიხედვითაც, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში აშენდება სოციალური სახლები, სადაც ბინებს მიიღებენ ის პირები, ვისთანაც ვარშალომიძეს დადებული ექნება კონტრაქტი.

არასამთავრობო ორგანიზაციამ ოპოზიციის დაპირებაში ამომრჩევლის მოსყიდვის მცდელობა დაინახა და აუდიტის სამსახურს საქმის მოკვლევის თხოვნით მიმართა.

„ნაციონალური მოძრაობა" აუდიტის სამსახურს პრემიერის საქმიანობით დაინტერესებას ურჩევს. მთავარ ოპოზიციურ პარტიაში ირწმუნებიან, რომ გიორგი კვირიკაშვილი დევნილებს სახლების გადაცემას ჰპირდება, რაც მათი მტკიცებით საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევაა.

**— ბატონო ზურაბ რის საფუძველზე მოხდა ლევან ვარშალომიძის დაბარება?**

— ვარშალომიძის დაბარება „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" — მიერ 18 ივლისს გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით მოხდა. ჩვენ ამ საკითხზე მოკვლევა დავიწყეთ და ვთხოვეთ ბატონ ვარშალომიძეს გამოცხადებულიყო სამსახურში და წარმოედგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები. ჩვენი კითხვები ამ პროგრამის განხორციელების მიზნებს შეეხებოდა. ამ საკითხზე ვაგრძელებთ მოკვლევას, დამატებითი ინფორმაცია უნდა შევისწავლოთ. ასევე სხვა პირებიც უნდა გამოვკითხოთ. ამ ეტაპების გავლის შემდეგ უკვე გვექნება სურათი, შესაძლებლობა შეფასდეს, არის თუ არა ეს კანონდარღვევა.

**— პროცედურაზე მინდა, გკითხოთ. თქვენ დოკუმენტაცია ახსენეთ, რამდენ ხანში მოხდება ვარშალომიძის საკითხის შესწავლა?**

— დოკუმენტაციის შესწავლას უფრო ნაკლები დრო დასჭირდება, მაგრამ რადგანაც დამატებითი პირები არიან გამოსაკითხი ამის გამო პროცესი რამდენიმე კვირა გაგრძელდება.

**— „ნაციონალური მოძრაობის" წევრები აცხადებენ, რომ მსგავს დაპირებებს პრემიერიც გასცემს. რატომ არ ხდება თქვენი სამსახურის მიერ ამ საკითხით დაინტერესება და პრემიერის, ან სახელისუფლებო გუნდის დაბარება?**

— ჩვენ ყველა განცხადებას ვსწავლობთ. აქ ხდება კანონით მანიპულირება. ნებისმიერ პირს, ის იქნება ოპოზიციაში თუ ხელისუფლებაში, აქვს უფლება, რომ დაპირება გასცეს. ამ ეტაპზე ვარშალომიძის განცხადებაში და ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული, რომ ეს უნდა განხორციელებულიყო საბიუჯეტო ხარჯებით, სწორედ ამან გამოიწვია კითხვები, თორემ პრემიერი, ან სხვა პარტიის წარმომადგენლები როდესაც ამბობენ, რომ ხელისუფლებაში როცა მოვალთ, დევნილებს დავეხმარებითო, ეს ჩვეულებრივი წინასაარჩევნო დაპირებაა. როდესაც ნათლად არ იკვეთება დაპირების განხორციელების ფორმა, ეს იწვევს დამატებით კითხვებს, რომელზეც პასუხების გაცემას ვითხოვთ.

**— თუ ვარშალიმიძის შემთხვევაში დარღვევა დაფიქსირდა, სანქციები როგორი იქნება?**

— ზოგადად სანქციები დარღვევის ორმაგ ოდენობას ითვალისწინებს, თუმცა აქ დიდ თანხაზეა საუბარი. დაპირება ჯამში 120 მილიონის დახარჯვას გულისხმობდა. ეს შესაძლოა, სისხლის სამართლებრივი დარღვევა იყოს და უკვე პროკურატურის საქმეა. თუ რაღაც ეტაპზე გამოიკვეთა, რომ პატარა თანხაზეა საუბარი, სანქცირებას სახელმწიფო აუდიტის სამსახური განახორციელებს.

**— ბოლო პერიოდში თქვენი მხრიდან გამოკვლევები სხვადასხვა ორგანიზაციების მომართვის შემდგომ ხდებოდა. თითქმის არ მახსენდება შემთხვევა, როცა თქვენი ინიციატივით პარტიების საქმიანობით დაინტერესებულიყავით. რატომ არ ახდენთ ისეთ აქტიურ მონიტორინგს როგორც ამას არასამთავრობო ორგანიზაციები აკეთებენ?**

— არა... ასე ნამდვილად არ არის! „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ" მოახერხა ამ დოკუმენტაციის მოძიება, რადგან ჩვენ ადგილზე წარმომადგენლობა არ გვყავს, მაგრამ განცხადებაზე მოკვლევა 18 ივლისს დავიწყეთ და მათი ინფორმაცია 19 ივლისს იქნა წარმოდგენილი. დღესაც გავაკეთეთ განცხადება, რომ 40 ადამიანი გვყავს დაბარებული სხვადასხვა პარტიის შემოწირულობებთან დაკავშირებით. ამასთანავე, იმ პირების მხრიდან თუ არ ხდება განცხადება, რომ აუდიტის სამსახურში დაგვიბარესო, ჩვენ ამას არ ვასაჯაროებთ, რადგან არ გვინდა, მათი იდენტიფიცირება წინასწარ მოხდეს.

**მარიამ ვარადაშვილი,**
**„მეტრონომი"**

◉ საპენსიო რეფორმა

# უდარდელი სიბერის ბინდში გახვეული პერსპექტივა

**ახალგაზრდობის მომავალი სიბერეაო, ნათქვამია... ეს სრული ჭეშმარიტებაა. ამიტომაცაა, რომ ყველა დროსა და წყობაში ადამიანები ხანდაზმულობის თითქოსდა შორეული პერსპექტივის დროულად განჭვრეტასა და ფიზიკურ-სულიერი ძალების შესუსტებისთვის ემზადებიან. ცივილიზებულ სამყაროში მათთვის, ვინც ცხოვრების მანძილზე სიბერის ფინანსურ უზრუნველსაყოფად საკმარისი კაპიტალის დაგროვება ვერ შეძლო, ასეთები კი, მოგეხსენებათ, ჩვენშიც და სხვაგანაც, აბსოლუტური უმრავლესობაა, ასეთი, ასე ვთქვათ, „პირადი დამცავი სიგელი" სახელმწიფოს მიერ დადგენილი ხანდაზმულობის პენსიაა.**

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში თითქმის ყველა პენსიონერი (ამ კატეგორიის მოსახლეობის მცირედი ნაწილის გარდა, რომელშიც ყოფილი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები, პარლამენტარები, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები და სხვ. შედიან) ეგრეთ წოდებულ „ასაკობრივ ანუ სოციალურ პენსიას", რომ იტყვიან, „მოჭრილად", ყოველგვარი საინფლაციო ან რაიმე სხვა სახეობის დანამატის გარეშე იღებენ და ასეთია მათი 96 პროცენტი(!). მისი ოდენობა წლევანდელი 1 ივლისიდან 180 ლარია და **ეს, არსებითად, არა იმდენად „პენსიაა", რამდენადაც „სოციალური დახმარება"**. თუ რატომაა ასე, ამის თაობაზე არაერთგზის გვქონია ლაპარაკი, მიზეზებიც მრავლად ჩამოგვითვლია, რომელთაგან ყველას გამაერთიანებელი ერთია: **ასაკობრივი პენსია ოფიციალურად განსაზღვრულ საარსებო მინიმუმზეც კი ორჯერ უფრო მცირეა**. პენსიის 50 ლარით მომატებაც კი, რასაც წინასაარჩევნო პიარის ერთ-ერთ კოზირად ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები იყენებენ, პენსიონერთა სიდუხჭირესაც ვერ უშველის, ბიუჯეტსაც ტვირთად დააწვება და, გარკვეულწილად, ინფლაციის ზრდის ტემპის მომატებასაც შეუწყობს ხელს.

ზემოჩამოთვლილი და კიდევ მრავალ სხვა მიზეზთა გამო, სავსებით ცხადია, რომ ქვეყანაში საპენსიო სისტემის რეფორმირება დიდი ხანია, მომწიფებულია, რაზეც სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ინსტიტუტი წლების მანძილზე მუშაობს. ახლა კი ცნობილი ხდება, რომ სახელმწიფო საპენსიო რეფორმის მოდელს უკვე „სასაქონლო სახე" მიეცა და ხელისუფლება მის „საქმეში გამოცდასაც" აპირებს. რეფორმის ზოგიერთი საკვანძო მომენტის შესახებ ლაპარაკი ქვემოთ გვექნება, თუმცა კი, არსებული ინფორმაციის საფუძველზე, გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ იგი მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას ითვალისწინებს და ეგრეთ წოდებული „საბჭოურისგან" ძირეულად განსხვავებულია. თანაც, როგორც მისი ავტორები გვპირდებიან, ეკონომიკის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

ხანდაზმულობით, ანუ გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, რაც ქალებისთვის 60, მამაკაცებისთვის კი 65 წლითაა განსაზღვრული, პენსიები 2004 წლამდე სახელმწიფო სოციალური პროგრამის დაფინანსებით ხორციელდებოდა. მისი ბიუჯეტი სახელმწიფო საპენსიო ფონდის საშემოსავლო სახსრები, დამქირავებლისა და დაქირავებული მუშაკის საგადასახადო შენატანებისგან შედგებოდა. შესაბამისად, იმდროინდელი, დღევანდელთან შედარებით გაცილებით მწირი პენსიების ოდენობა პენსიონერთა მთლიან რიცხოვ-



ნობაზე გაყოფით დგინდებოდა. ზოგადად კი, დღემდე მოქმედი სისტემით, პენსიის ოდენობა არც სახელმწიფო ბიუჯეტში, ან საპენსიო ფონდში წლების მანძილზე ნომინალური შენატანის, არც დაქირავებული მუშაკის სამუშაო სტაჟზეა დამოკიდებული. ამიტომაცაა, რომ, ვთქვათ, დიასახლისებიც, შრომის ღვაწლმოსილი ვეტერანებიც ერთი ოდენობის პენსიას იღებენ. ცნობისთვის ვიტყვით, რომ სადღეისოდ საქართველოში 800 ათასზე მეტი ასაკით პენსიონერია, მათ შორის უმრავლესობა — 500 ათასი — ქალია. **საპენსიო სისტემის მომავალი რეფორმის არსი ის გახლავთ, რომ საპენსიო ფონდში შენატანების ოდენობა დამსაქმებელს, დასაქმებულსა და სახელმწიფოს შორის 2+2+2 პრინციპით იქნება განსაზღვრული, რომელიც მუშაკის ყოველთვიურად მიღებულ სარგებელს დაეფუძნება**. სისტემის მონაწილე სამივე სუბიექტი (მთავრობა-დამსაქმებელი-დასაქმებული) დაქირავებული მუშაკის პერსონალურ საპენსიო ანგარიშზე სარგებლის 2 პროცენტის ოდენობის თანხას ჩარიცხავს, რაც, საბოლოო ანგარიშით, 6 პროცენტს გაუტოლდება. თავად საპენსიო ანგარიში კი შენატანებისა და ფონდის მოგების მაჩვენებლისდა მიხედვით გაიზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ წინასწარ ერთგვარად დაბანდებული ფული „მკვდარ კაპიტალად" კი არ იდება ბანკში, არამედ „იმუშავებს" და ბოლოს პატრონს გარკვეულ დივიდენდსაც მოუტანს. რეფორმის ავტორები განსაკუთრებულად ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ კონტრიბუციის კოეფიციენტს განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს გრძელვადიანი დაგროვების შემთხვევაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ **6 პროცენტზე მეტი ოდენობის დამატებითი ნებაყოფლობითი შენატანი, მათი აზრით, გარკვეული ფორმით წახალისებულიც უნდა იყოს**. ამასთან ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ რაც უფრო დიდი ხნის მანძილზე განხორციელდება სამომავალო დაგროვებითი პენსიის წინასწარი ინვესტირება, მით უფრო მეტად სარგებლიანი იქნება დასაქმებულისთვის ფინანსური შედეგი.

ისიც უნდა ითქვას, რომ პროცენტულად განსაზღვრული შენატანების პრინციპის გათვალისწინებით, დაქირავებული მუშაკის სამომავლოდ მიღებული სარგებელი პირდაპირპროპორციული იქნება მის მიერ წლების მანძილზე გამომუშავებულ ხელფასის, აგრეთვე ნებაყოფლობითი შენატანებისა.

ასევე მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ საპენსიო ფონდში შენატანები, ამონაგები და გასაცემი თანხები არ დაიბეგრება, სამივე სუბიექტის მიერ შეტანილი სახსრები ყოველგვარი გადასახადებისგან გათავისუფლდება. ისიც უნდა ითქას, რომ უცხოეთის მთელ რიგ ქვეყანაში საპენსიო სარგებელი იბეგრება, ამდენად ჩვენში სამომავლოდ ამ პრაქტიკის გამოყენებაზე უარის თქმა რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბონუსად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასაქმებულთა მიერ დაგროვებითი საპენსიო სისტემა ნებაყოფლობით საფუძველზე იმოქმედებს. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ, შემუშავებული სარეფორმო დოკუმენტის დებულების თანახმად, დამსაქმებელსა და სახელმწიფოს შორის სავალდებულო პრინციპიც იარსებებს. საქმე ისაა, რომ კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობის სტიმულირება პრობლემურია განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი, მით უმეტეს ამის გაკეთება კიდევ უფრო გაართულებს საქმეს ჩვენში, რის მიზეზი, უწინარესად, მოსახლეობის ფინანსური განათლებისა და შემოსავლების შედარებით დაბალი დონეებია. **ახალი საპენსიო სისტემის დანერგვის შემდეგ ყველა დასაქმებული მოქალაქე ავტომატურად გაწევრდება საპენსიო ფონდში, თუმცა კი ნებისმიერ მოქალაქეს მასში წევრობაზე უარის თქმის სრული უფლება ექნება.**

**არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც მომავალი რეფორმის უაღრესად დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს. ესაა, კერძოდ, პერსპექტივაში მისი ზეგავლენა ეროვნული ეკონომიკის სტიმულირებაზე, რაც, კერძოდ, კაპიტალის ბაზრის განვითარებაში, ეროვნული ვალუტაში გრძელვადიანი ფინანსური რესურსების შექმნაში, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის, კორპორაციული ობლიგაციებისა და სხვა საინვესტიციო ინსტრუმენტების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში უნდა გამოიხატოს.**

**ოთარ ტურაბელიძე**

# თურქეთის არშემდგარი გადატრიალება და საქართველო

**„ქვეყნის დასაპყრობად საჭიროა პატარა ნოხის გაშლა – სულის მხსნელი ლოცვისთვის. სამომავლო გარდაქმნაში ყველაზე ხმამაღალი იქნება – ხმა ისლამის“ — ეს სიტყვები ეკუთვნის მუსლიმანთა სასულიერო ლიდერს ფეთჰულაჰ გიულენს** (Fethullah Gulen), **რომლის სახელიც თურქეთის არშემდგარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ არა მარტო თურქეთის, არამედ მსოფლიოს ელექტრონულ და ბეჭდვით მედიაში სისტემატურად გაისმის.**

თურქეთის ხელისუფლება დაბეჯითებით თხოვს აშშ-ს ადმინისტრაციას, გადასცეს აშშ-ში მცხოვრები გიულენი, რომელსაც არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორად მიიჩნევს. ოფიციალური ვაშინგტონი არ გამორიცხავს ასეთ ქმედებას, თუ თურქეთის ხელისუფლება ოფიციალურად მიმართავს მას და თუ გიულენის მონაწილეობა სახელმწიფო გადატრიალებაში დადასტურდება.

ექვსიოდე წლის წინათ, აშშ-ის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტისა და იორდანიის ისლამის სამეფო ცენტრის ერთობლივი კვლევის შედეგად გამოქვეყნდა თანამედროვეობის უდიდეს მუსლიმანთა სია, რომელშიც 20 თურქეთიდან არის – საერთაშორისო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო პირები. სიის მე-13 ნომრად დასახელებულია ფეთჰულაჰ გიულენი – რელიგიური ორგანიზაცია „ჯამაათის“ ხელმძღვანელი. აღნიშნული ორგანიზაცია და მისი საქმიანობა ყოველთვის იწვევდა თურქეთში და არა მარტო იქ, გარკვეულ ეჭვებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის იყო პრემიერ-მინისტრ ერდოღანის კონსულტანტი. მას დიდი წვლილი მიუძღვის დღევანდელი მმართველი პარტიის სამართლიანობისა და კეთილდღეობის ჩამოყალიბებაში.

1994 წლის ბოლოს მემარცხენე ძალებმა და თურქეთის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს მაშინდელი ხელისუფლების მაღალი წარმომადგენლების, მათ შორის პრემიერ-მინისტრ თანსუ ჩილერის საჯარო კავშირების წინააღმდეგ რადიკალ ისლამისტ გიულენთან. მემარცხენეები კატეგორიულად გმობდნენ გიულენისთვის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში პომპეზური დახვედრის გამართვას. მემარცხენეთა მიხედვით, ხელისუფალთა ამგვარი ქცევა ნიშნავდა სუფისტური ორდენის ლეგალიზაციას, რომელიც აკრძალული იყო ქემალისტების მიერ.

2000 წელს ოპოზიციონერის, რეჯეპ ტაიპ ერდოღანის აშშ-ში ვიზიტის დროს შედგა მისი შეხვედრა გიულენთან, რომელიც იქ ცხოვრობდა. როგორც ამბობენ ამ შეხვედრამ დადებითად იმოქმედა ერდოღანის, პოლიტიკურ კარიერაზე. რჩევები, რომლებიც ფეთჰულაჰ გიულენმა მისცა ერდოღანს, ატარებდა როგორც პოლიტიკურ, ისე რელიგიურ ხასიათს და მიმართული იყო ხელისუფლების მოპოვებისთვის პოლიტიკური ბრძოლისკენ. გარდა იდეოლოგიური რჩევებისა იყო მატერიალურ-ფინანსური დახმარებაც.

ექსპერტი ნეჯიპ ჰამბლემიტოღლუ თავის წიგნში წერდა: „გიულენის ჯამაათი არა მარტო რელიგიურ გრძნობებს უწევს მხარდაჭერას, არამედ პოლიტიკურ მიზნებსაც ემსახურება. მას არ ჰყავს ბადალი ქვეყანაში თავისი ორგანიზებულობით. გიულენის მიმდევრები, მდიდარი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აფინანსებენ ყველა სფეროს, განსაკუთრებით განათლებას. ფეთჰულისტები გარდაიქმნენ უდიდეს ორგანიზაციად, რომელიც, 25 მილიარდი დოლარის კაპიტალის და წლიური მილიარდიანი შემოსავლის წყალობით, ყიდულობს თითოეულს და ყველას“.

1980 წელს იზმირში საჯარო გამოსვლის დროს გიულენმა აღნიშნა, რომ სულ მალე თურქეთში ადგილი ექნება ისეთ მოვლენას, როგორიც ირანში 1979 წელს. გიულენი არაერთხელ იყო დაკავებული, მაგრამ დიდი მფარველების მეშვეობით ახერხებდა ციხიდან გამოსვლას.

თურქეთის სპეცსამსახურების დასკვნით, გიულენის ორგანიზაცია შეფასდა, როგორც საფრთხე საერო სახელმწიფოსთვის, რომელიც მიზნად ისახავს რელიგიური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. სპეცსამსახურების მოხსენებაში აღნიშნული იყო ფეთჰულისტების სახელმწიფო ორგანიზაციებში ჩაბუდება, სახელმწიფო მექანიზმის დაკნინება და ათათურქის რეფორმების უგულებელყოფა. მიზანი – შარიათზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნა. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ უფრო ფართო გეგმებიც არსებობდა – მსოფლიო თურქულ-ისლამური კავშირის შექმნა.

დიდი გეგმის მიღწევაში თავისი წვლილი შეჰქონდა გიულენის ჯამაათის მიერ საზღვარგარეთ შექმნილ სასწავლებლებს. 160 ქვეყანაში ფუნქციონირებს გიულენის მიერ შექმნილი რელიგიური სასწავლებლები. გიულენმა განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. რუსეთში ამ ჯამაათის მოქმედება 2008 წელს აიკრძალა.

გიულენი არა მარტო რელიგიური კავშირებით გამოირჩევა, არამედ ბიზნეს-ურთიერთობებითაც. მუსლიმ მეწარმეებს, მრეწველებს დიდი წვლილი შეაქვთ გიულენის იდეების ცხოვრებაში გასატარებლად. მათ მიერ გიულენის ჯამაათში შეტანილი ფინანსური შესაწირავი ერთობ მსუყე და მნიშვნელოვანია. გიულენი მათ მოუწოდებს ახალი ქვეყნების დაპყრობას, ბიზნეს-გავლენების გაფართოებას: „დღეს, ისე, როგორც არასოდეს, საჭიროა ახალი საგარეო ბაზრების ათვისება, სადაც ჩვენ გამოსავალს ვნახავთ, შევქმნით კონკურენციას“.

ამერიკელი სწავლულის შარონ კრესპინის ნაშრომში ხაზგასმითაა ნათქვამი შემდეგი: „გიულენის ჯამაათი იღვწის არა მარტო სახელმწიფოზე გავლენის მოსაპოვებლად, არამედ სახელმწიფოს მართვაზეც უფლების მოსაპოვებლადაც. თურქეთში ერთ მეჩეთზე 350 მომლოცველი მოდის, მაშინ, როდესაც ერთ საავადმყოფოზე – 60 ათასი პაციენტი.

იმამთა რაოდენობაა 90000, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე საერო მასწავლებლები და ექიმები. ფეთჰულაჰის მიმდევრები უხვად არიან პარტია „სამართლიანობისა და კეთილდღეობის“ რიგებში. ფაქტიურად ისინი მართავენ ამ პოლიტიკურ ორგანიზაციას ბანკების, სკოლების, მედია-იმპერიის დახმარებით“.

ამერიკელი სწავლულის ხმამაღალი განცხადება 2010 წლამდე პერიოდს ეხება, თუმცა მას შემდეგ ვითარება რადიკალურად არ შეცვლილა. ცვლა მიმდინარეობს დღეს, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, როდესაც ერდოღანმა დაიწყო არა მარტო სამხედრო ძალებში ფართომასშტაბიანი წმენდა, არამედ პოლიციაში, უშიშროების სამსახურში, პროკურატურაში, სასამართლო სისტემაში, განათლებაში და ა.შ. ათეულ-ათასობით ადამიანია დაპატიმრებული, უმრავლესობას ხანგრძლივი ციხე ემუქრება, ზოგს სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილით დასჯა, რომელიც 2003 წლიდან არ გამოიყენება თურქეთში.

ერდოღანის განცხადებით, უნდა აღდგეს სიკვდილით დასჯა, ვინაიდან ამას მოითხოვს ხალხი. შემოიღებენ თუ არა სასჯელის ამ უკიდურეს ზომას, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. შემოღების შემთხვევაში, თურქეთს ევროკავშირისკენ მიმავალი გზა ჩაეკეტება, რის შესახებაც აცხადებენ ამ ორგანიზაციის მაღალი მოხელეები.

გარდა ამისა, პრეზიდენტ ერდოღანს სწორედ ახლა აქვს შანსი გაუსწორდეს მის მოწინააღმდეგეებს, განსაკუთრებით ერთ დროს მოკავშირეს, ამჟამად მტერს გიულენს და მის მხარდამჭერებს. ის ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს, მიუხედავად იმისა, ეწყინებათ თუ არა ბრიუსელში.

ერდოღანის პოლიტიკა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ დიდ ეჭვებს და გაღიზიანებას ბადებს, რაც ერთიორად გაიზრდება ახალი დაჭერების შედეგად. 80-მილიონიან თურქეთს უსერიოზულესი პრობლემები აქვს ქურთების სახით, რომლებიც ტერორისტებად აღიქმება ერდოღანისა და მისი ხელისუფლების მიერ.

ომი მეზობელ სირიაში და ამ ქვეყნიდან თურქეთში შესული 3 მილიონზე მეტი ლტოლვილი, არანაკლები თავსატკივარია ისე, როგორც გართულებული ურთიერთობები აშშ-თან, ევროკავშირთან, რუსეთთან, სირიასთან, სხვებთან. ზღვა პრობლემები, როგორც საშინაო, ისე საგარეო, დიდ ძალისხმევას საჭიროებს ერდოღანის მხრიდან. როდის და როგორ შეძლებს მათ დაძლევას, იოლი გამოსაცნობი არ არის.

სამხედრო გადატრიალებამდე მან შეძლო დიალოგის დაწყება ისრაელთან, ბოდიში მოუხადა რუსეთის პრეზიდენტს თვითმფრინავის ჩამოგდებისთვის და გამოთქვა სურვილი მჭიდრო თანამშრომლობისთვის. წინ გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ ორად გაყოფილი ქვეყნის ერდოღანისთვის სასურველ ჩარჩოში მოქცევა არცთუ იოლი საქმეა.

დიდმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა თქვა: „ჩვენ გავყვებით ცივილიზაციის გზას და მივალთ ცივილიზაციამდე. ვინც ჩამოგვრჩება, ცივილიზაციის აზვირთებულ ტალღებში დაიხრჩობა“. ათათურქმა გაანადგურა მონარქია, სახალიფო, შარიათის სასამართლო, რელიგიური სკოლები – მედრესეები, აღკვეთა მრავალცოლიანობა, ქალები გაუთანაბრა მამაკაცებს, არაბულის ნაცვლად შემოიღო ლათინური ანბანი, დასვენების დღე პარასკევიდან კვირას გადაიტანა.

„თურქთა მამად“ წოდებულმა, ფაქტიურად შექმნა თანამედროვე თურქეთი. ოსმალეთის იმპერიის დროს ყველა იყო ოსმანი. სიტყვა „თურქი“ საწყენად აღიქმებოდა. ათათურქმა თქვა – „რა ბედნიერებაა, იყო თურქი!“.

მას შემდეგ თითქმის საუკუნე გავიდა. ქვეყანა შეიცვალა, თუმცა არა ისე, როგორც ათათურქს სურდა. ათათურქმა თურქეთს თავს მოახვია ხელოვნური და ზედაპირული ვესტერნიზაცია, როგორც თავის დროზე პეტრე პირველმა რუსეთს. მას სურდა ტრადიციული მუსლიმი საზოგადოების ევროპულად გადაკეთება. მიუხედავად დაძალებისა, თურქეთის საზოგადოება რჩებოდა აღმოსავლური, ისლამისადმი ერთგული.

90 წელი დასჭირდა ერდოღანის გამოჩენას, რომელმაც დააბრუნა ქვეყანა ჭეშმარიტების გზაზე ანუ მუსლიმურ თანამეგობრობაში, რომელსაც ის კანონიერად მიეკუთვნება. დაიწყო მუსლიმური თურქეთის აღორძინება მას შემდეგ, რაც ერდოღანის პარტიამ 2003 წელს წარმატებას მიაღწია არჩევნებში. რაც უფრო სწრაფად მიმდინარეობდა ეს პროცესი, მით უფრო მძლავრობდა რეაქცია დასავლურად განწყობილი საზოგადოების.

განვლილ 90 წელს უქმად არ ჩაუვლია. თურქეთის საზოგადოების ნაწილმა შეითვისა და დააფასა დასავლური ფასეულობები, მაგრამ საზოგადოების ეს ნაწილი ჩამორჩება დანარჩენს – სოფლის და ქალაქის ღარიბ მოსახლეობას რაოდენობით. სწორედ ამ ნაწილთან გამოძებნა საერთო ენა ერდოღანმა. დაიწყო ქვეყნის დაბრუნება გუშინდელ, ზოგჯერ გუშინწინდელში. ქვეყანამ, რომელმაც იგემა საერო ყოფა, მისთვის მიუღებელია ისლამიზმი, სერიოზული დაპირისპირება.

მართალია, ბოლო, მეხუთე გადატრიალების მცდელობის დროს, ინტელიგენცია ერდოღანის მხარეს დადგა, უბრალოდ მოსალოდნელი უარესის გამო, მაგრამ ეს მაინც არ არის ის მხარდაჭერა, რასაც ერდოღანი ისურვებდა. ძნელად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქემალისტები გაჩუმდებიან და ხმას არ ამოიღებენ ერდოღანის ავტოკრატიულ მმართველობაზე. დაუჯერებელია, განაწყენებულ სამხედროთა დაჩოქება. გაივლის დრო და ისინი კვლავ წამოჰყოფენ თავს.

დამოუკიდებელი საქართველოსთვის თურქეთი იყო ფანჯარა დასავლეთში. პირველი ნაბიჯებიც სწორედ თურქეთისკენ გადაიდგა და ეს არ იყო მარტო პოლიტიკური. ეს იყო ეკონომიკური, სავაჭრო ნაბიჯები და რაც მთავარია, სახალხო. შიდა ომებითა და ეკონომიკური გაუსაძლისობით დაოსებულმა საქართველომ უმალ გააფორმა თურქეთთან ჩარჩო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აღიარა ყველა ადრე გაფორმებული ხელშეკრულება, მათ შორის ყარსის. თურქეთმა ოსტატურად ჩაატარა პოლიტიკური თამაში, რითაც საბოლოოდ აიძულა საქართველო, სამარადისოდ ჩაეთვალა ყარსის ხელშეკულება.

ადრინდელი 90-იანი წლებიდან მოყოლებული, თურქეთი აძლიერებს თავის გავლენას საქართველოზე, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. არანაკლები გავლენა იგრძნობა რელიგიის სფეროში. აჭარაში გაჩნდა რელიგიური სასწავლებლები, რომლებიც ფეთჰულაჰ გიულენის სახელს და ფინანსებს უკავშირდება.

საქართველოს ხელისუფლება მოჭარბებული ხელგაშლილობით უწევს მასპინძლობას მეზობელი ქვეყნის რელიგიურ ამბიციებს. სულ ახლახანს, თურქულ ტელეარხ “A-Haber”-ზე გამოსვლის დროს ერთ-ერთმა ფეთჰულისტმა ჰაიატ ქუჩუკმა, რომელიც საქართველოში გიულენის სკოლების გახსნით იყო დაკავებული, თქვა: „ვაფინანსებთ ყველას, ვინც კი რამეში გამოგვადგება. საქართველოში გიულენმა ეკლესიის დაფინანსებაც დაგვავალა. დიახ! ქართულ ეკლესიას გადავუხადეთ ფული. უკან არ ვიხევდით ქრთამზეც. ედუარდ შევარდნაძეს 165000 დოლარის ჩეკი გადავეცით ქრთამის სახით თავის კაბინეტში. ამ ფაქტს თურქეთის ელჩიც ესწრებოდა“.

ქუჩუკმა ბევრი სხვაც თქვა საინტერესო, განსაკუთრებით სააკაშვილ-ერდოღანისა და სააკაშვილ-გიულენის მჭიდრო ურთიერთობებზე. მან არც სააკაშვილის თურქოლოგი დედა გიული ალასანია დაივიწყა თავისი საქმიანი კონტაქტებით გიულენთან.

„თურქეთი ჩვენი მეზობელია“, როგორც ხელისუფლება გვიცხადებს - „სტრატეგიული პარტნიორი“, მაგრამ ამან თავი არ უნდა დააკარგვინოს ქართულ პოლიტიკას. მან კარგად უნდა იცოდეს, რომ სტრატეგიული პარტნიორობა მუდამ დათმობას არ ნიშნავს. თურქეთი, საკუთარი ამბიციებიდან გამომდინარე, ყოველთვის შეეცდება იმ ტერიტორიებზე თავის გავლენის გაფართოებას, რომელსაც ისტორიულად თავისად თვლის. კავკასიას, კერძოდ, საქართველოს ასეთად მიიჩნევს, რაც არაერთხელ არის მოხსენიებული ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის აჰმედ დავუთოღლუს წიგნში.

თურქეთის ტერიტორიული შეხედულებების მიმართ, ერდოღანისა და გიულენის დამოკიდებულება იდენტურია, რაც სულაც არ არის გასაკვირი ისეთი დიდი ქვეყნის მხრიდან, როგორიც თურქეთია. გასაკვირი, საქართველოს ხელისუფალთა გულუბრყვილობა და სიხარბეა, რამაც ნეგატიურად შეიძლება იმოქმედოს ქვეყნის მომავალზე.

რუსულ, ირანულ, სომხურ, თუნდაც აზერბაიჯანულ, ბელორუსულ, ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს შეუძლიათ, ნაწილობრივ მაინც გადაარჩინოს თურქეთის მიერ ეკონომიკურად ოკოპირებული ქვეყანა. თუმცა ამ მიმართულებით, განსაკუთრებით რუსეთის, ხელისუფლება კუს ნაბიჯით მოქმედებს, რაც თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ მას სულაც არ ანაღვლებს შექმნილი ვითარება...



**„ვაფინანსებთ ყველას, ვინც კი რამეში გამოგვადგება. საქართველოში გიულენმა ეკლესიის დაფინანსებაც დაგვავალა. დიახ! ქართულ ეკლესიას გადავუხადეთ ფული. უკან არ ვიხევდით ქრთამზეც. ედუარდ შევარდნაძეს 165000 დოლარის ჩეკი გადავეცით ქრთამის სახით თავის კაბინეტში. ამ ფაქტს თურქეთის ელჩიც ესწრებოდა“.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

◎ „ლიტერატურული ბაზრობა“

**გიზო ოთარაშვილი**

## არ ვიცოდი, თუ ანგელოზიც მოკვდავი იყო...



**პრეტენზია არა მაქვს პროფესიონალ მელექსეობაზე. აქ შემოთავაზებული ნაფიქრალი, ადრეული ასაკიდან ჩემი განუყრელი მეგობრების თენგიზ და ჯანო კახიძეების, ვანიკო მაჭავარიანის, ჯონდო მიქელაიშვილის და სხვა ახლობლების უსაზღვრო სიყვარულმა, ერთად ნამღერმა და მათი არყოფნის სევდამ დამაწერინა.**

* * *

საგალობელს ველარ ვამბობ ძველებურად,
ხმაში ბზარი გაჩენილა;
სალაღობოც არ გამომდის მხიარული,
ხმაში სევდა გაჩენილა;
რაც მიყვარდა, ისიც ვერ ვთქვი უძმაკაცოდ,
ყელში ბურთი გაჩხერილა;
სხვა მოვა და მან იმღეროს ჩვენზე კარგად,
კაცი ასე გაჩენილა;
თორემ ძველი მსმენელიც და მომღერალიც
სამზეოდან გაკრეფილა.
რომ მეგონა, დარდი მცირედ გადავფარე,
წუთისოფლის დღე გავლილი გადავთვალე,
დავითვალე... ვინღა შემრჩა, რა მახარებს?!
ერთი ხელის ყველა თითი ვერ გავშალე.

### ჯანო კახიძეს

დიდმა ნიჭმა შეაჯერა
უფლის ნება და ვანდა*,
მერე ქვეყნად ზემაესტრო,
დიდი ჯანო დავანდა.
პულტთან ჯადოქარის ხელით
სივრცეს ფერ-ფერ ღარავდა,
მელომანთა განცდა სმენას
ნირვანაში ფარავდა.
P.S.
**ეს ნიჭი ღვთივკურთხეული**
**არ დაკარგულა, არ ქრება,**
**აღმაღლებს შთამომავალი,**
**მუსიკათქება გრძელდება.**

*. **ვანდა კაკაბაძე — ჯანო კახიძის მეუღლე.**

### ჩაქრა მთიები

**გუდაურში ტრაგიკულად დაღუპული სალომე ტატიშვილის ხსოვნას**

ზვავად მოვარდა ეშმას ფრთებზე მდგარი სიკვდილი,
მსხვერპლად კარგებში უკეთესი ამოარჩია,
არა ყოფილა ნათელის და ბნელის ჭიდილი,
ვერც სულიერთა სიყვარულმა გადაარჩინა.
ისევ მძვინვარებს ქვეყანაზე კაენის ცოდვა,
კაბადონს მოსწყდა სხივჩამქრალი ცისკრის მთიები,
გარემოს თეთრად გასუდრული სევდა ათოვდა,
გზად გაფენილა გაცრეეცილი კამელიები.
სიკვდილ — სიცოცხლის არაფერი არა მცოდნია,
არ ვიცოდი, თუ ანგელოზიც მოკვდავი იყო,
საწუთისოფლოს სამართალი არა ჰქონია...
იმ დღეს ქალაქი მგლოვიარე შვილმკვდარი იყო.

### შიში

როგორც შემეძლო, ვიცავდი რწმენას,
არ მოვერიდე საცდურთან ბრძოლას,
როცა მეორედ მოვალ ამქვეყნად,
(ერთი ფიქრი მაქვს, შიში და ძრწოლა)
ვინც აქ მიყვარდა და ვაღმერთებდი
კვლავაც თუ შეძლებს უღელში დგომას?
ხომ მიშვილებენ ჩემი მშობლები?
ხომ დამრჩებიან შვილები ჩემად?
ხომ მიმიღებენ ძმა, მეგობრები,
თუ წინაპარი ჩემი და ყველა?
ჩემი სამშობლო, მარადიული,
ხომ ჩამიხუტებს მკერდში უთქმელად?
... ეს თუ არ იქნა, მაშინ, უფალო,
აზრი არა აქვს ჩემს გადარჩენას.

### არც იმ გვირაბში შევალ უშენოდ

რაც მაბადია სულის საუნჯედ,
სულ აქ დავტოვებ, ამ ქვეყნად, შენთან,
არც იმ გვირაბში შევალ უშენოდ,
დაგელოდები ცის კარიბჭესთან;
და როცა სულთა გზას დაადგები,
ხელჩაკიდებულს წაგიყვან ღმერთთან,
რომ ყველა ცოდვა, ჩემიც და შენიც,
ერთმა ვიტვირთო, დამძიმდეს ჩემთან.

◎ გზად ნაპოვნი სურათი

# საუკუნის სირცხვილი

**დავით ბაქრაძის** მსგავსი ნაცების ლიდერი რომაა, ცრუპენტელა, ყოვლად უმაქნისი, არ შემხვედრია. ხატზე დავიფიცებ, ბუნებაშიც არ არსებულა. არადა გადმოდგება ტრიბუნაზე, თუჯის თავს მაღლა შემართავს, უაზრო მზერას სადღაც მიაპყრობს და გვმოძღვრავს. დასვენებიდან დაბრუნებულს ჩემი მეგობარი, მამულიშვილი, ერის კაცი, გულმართალი ადამიანი დაბოღმილი დამიხვდა.



— რაჭველებს ჯვარი გწერიათ, აბა მეგრელებმა რა ქნან, ეს ბოკერია რომაა. გველივით ენასარსალა, მოჭუტული თვალებიდან ყველაფერს რომ წამლავს.

— მე სხვა რამის თქმა მინდა, ნაციონალები ხომ გვპირდებოდნენ მილიონ სამუშაო ადგილს, ჰოდა, ორ მილიონამდე ქართველი უცხოეთში გააქციეს, ისინი ჯოჯოხეთური შრომით ინახავენ ოჯახებს. ავანტიურისტმა, გიჟმა სააკაშვილმა მოხუცებს შემორჩენილი თითო-ოროლა კბილები დააძრობინა, უფასო პროტეზებს ჩაგიდგამთო და უკბილოები დატოვეს ასობით მოხუცი. ტერიტორიებს დაგიბრუნებთო, თავიანთი ვერაგობით დაკარგული აფხაზეთი, სამაჩაბლო რუსებს აჩუქეს და შეატოვეს. პენსიებს გაგიზრდითო, გაზის, დენის, წყლის გადასახადების შემცირების პროგრამითაც იწონებდნენ თავს, აქაც სიცრუე, 9 წელი ჯოჯოხეთში გვატარეს. ციხეები, ჯურღმული, ცოცხები, რა უბედურება არ დაგვმართეს, ჰოდა ახლა მორიგი ტყუილებით, გაუგონარი სიცრუით, თავხედობით თავს გვახვევენ თავიანთ ახალ საარჩევნო პროგრამას.

ეგ ვაი-ფიურერი დავით ბაქრაძე, გაიძვერა სააკაშვილის კუდი, ვითომ მორიგი არჩევნებისთვის ემზადება, უსირცხვილოდ გვპირდება პენსიის 50 ლარით გაზრდას.

ბოლოს და ბოლოს როდის უნდა მოეღოს ბოლო ბოკერიების, კანდელაკების, გოგორიშვილების, ჭიაბერაშვილების და მისთანების თარეშს. ან ბაქრაძის მიერ მაჟორიტარ დეპუტატებად წარდგენილთ თუ წარსადგენთ, ქართველთ მოძულე ამქარში რომ ეწერებიან, ნუთუ სინდისის ნატამალი არ გააჩნიათ?

ახლა პაპუაშვილი-მარგველაშვილის დუეტი. ორივემ ერთნაირი სიზმარი ნახა, არადა ფაქტს არ ამხელენ. ან სიზმრის გაცხადება მათ რომ არ ძალუძს, თვითონაც კარგად უწყიან, მიზანი კი ნათელია, ააგორე ჭორი და...

ლუკმა მიუგდეს და აჯეჯილდნენ, ნაციონალთა მორიგი ლიდერები სერგი რატიანი, არასამთავრობოები, პოლიტიკანები, გრანტიჭამიები ენად გაიკრიფნენ.

ხოლო შალვა ნათელაშვილს და მის ჩოკინას ივანიშვილის მილიარდები ყელში ეჩხირებათ.



ხალხი, ქვეყანა, სამშობლო ამ არაკაცებს ფეხებზე ჰკიდიათ.

საინტერესოა, სანამდე მოუთმენს ხალხი ამ არაკაცებს ასეთ ზღვარგასულ თავხედობას?

**გივი ჯახუა,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**
**„ს.რ“-ის კორესპონდენტი**

**P. S. კვირა დილით ადრიან, მე და ჩემი მეგობრები მშენებელ-ინჟინრები და მურად გოგატიშვილი, ზურაბ გიორგაშვილი, ბიზნესმენი გოგა ბეგაძე იალღუჯის ფერდობზე ჩვეულებრივ რომ ავდივართ, სიბერეს ვებრძვით, ზემოთ ჩვენზე ასწრებული სამი ჭაღაროსანი დავინახეთ. ჯერ მონადირენი გვეგონა, თოფები კი არ ჰქონდათ, თანაც გაუწაფავად მძიმედ მიაბიჯებდნენ, რომ დავეწიეთ, ვიცანი. მეორე თაობის მეტალურგები და ერთიც ინჟინერ-ქიმიკოსი, ოღონდ ეგ იყო გვარსახელები ვერ გავიხსენე.**

**— საით გაგიწევიათ-მეთქი.**

**— ჯვარზეო, — ერთმა, რომელზეც თავის დროზე ტელევიზიით გემრიელი გადაცემა მქონდა გაკეთებული. მაგარი მშრომელი კაცი იყო, სანთლები მაჩვენა, — ქვეყნის მხსნელს ბიძინა ივანიშვილს სანთლები უნდა დავუნთოო.**

**იალღუჯა რუსთავის ყველაზე მაღალლი მთაა, ზღვის დონიდან 864 მეტრზე, ჯვარიც მის თხემზეა, იქვე პატარა სახატეა, სადაც სანთლებს ვანთებდით, ახლა ასაკში შესულთ დაგვიძვირდა იქ ასვლა და.**

**— კი მაგრამ აქამდე სამი ეკლესია გამოიარეთ და... შევჭოჭმანდი.**

**— ეკლესია თავისთავად, აი ჯვარზე ასვლას, იქ რომ დაილოცები, სხვა მადლი აქვს, უფალთან ახლოს არისო, — არ დაიბნა ჩემი გმირი, თან დააყოლა, სანთლები ბევრი მოგვაქვსო, მიგვანიშნა.**

**ასეა, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო, უთქვამს ჩვენს დიდ წინაპარს.**

**ბატონი ბიძინა სამშობლოსთვის სანთელივით იწვის, გამორჩეული მამულიშვილია, ღვთისგან საქართველოს განსაცდელისას საგანგებოდ მოვლენილი...**

**გ. ჯ.**

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

## „ქართული ოცნება-ჯანმრთელი მომავალი“ საქველმოქმედო ორგანიზაცია არ არის

**ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არასამთავრობო ორგანიზაცია სამართლიანი არჩევნების სარჩელი არ დააკმაყოფილა.**

საქმე ეხება ორგანიზაცია „ქართული ოცნება- ჯანმრთელი მომავლის“ საქველმოქმედო საქმიანობას, რის ფარგლებშიც დიდუბე-ჩუღურეთში მცხოვრებ 200-მდე პედაგოგს უფასო სამედიცინო კვლევა ჩაუტარდა.

ორგანიზაციის საქმიანობა საკრებულოს დეპუტატ რიმა ბერაძის სახელს უკავშირდება.

**„ქართული ოცნება-ჯანმრთელი მომავალი“ არ წარმოადგენს თავისი სამართლებრივი სტატუსით საქველმოქმედო ორგანიზაციას და ის არ არის რეგისტრირებული როგორც საქველმოქმედო ორგანოზაცია და არ იქნა დადგენილი ის გარემოება, რომ აღნიშნული საქმიანობის განხორციელების დროს დაირღვა საარჩევნო კოდექსის 45 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება მსგავსი ტიპის ღონისძიების განხორციელება სახელმწიფო ბიუჯეტით“,** — განაცხადეს ცესკოს პრესსამსახურში.

სამართლიანი არჩევნების აღამსრულებელი დირექტორი მიხეილ ბენიძეს თქმით, კი ცესკოს აღნიშნული გადაწყვეტილებით საზოგადოებამ პრაქტიკულად ძალიან საშიში პრეცედენტი მიიღო, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ პარტიას შეუძლია შექმნას არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც არ დარეგისტრირდება საქველმოქმედო ორგანიზაციად, მაგრამ განახორციელებს საქველმოქმედო საქმიანობას ამა თუ იმ პარტიის სასარგებლოდ. შესაბამისად, ამ კუთხით, შესაძლოა, ამომრჩევლის მოსყიდვის მცდელობები, პრაქტიკულად, დაკანონდეს.

## მოქალაქეები კმაყოფილები არიან

**გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელმა საქართველოში ნილს სკოტმა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა საზოგადოებას „საზოგადოებრივი მომსახურებით საქართველოს მოქალაქეთა კმაყოფილების დონის კვლევის“ შედეგები გააცნეს. აღნიშნული კვლევა ქართულმა კვლევითმა ორგანიზაციამ „ეისითიმ“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დაკვეთით ჩაატარა.**

კვლევაში მიმოხილულია მოქალაქეთა დამოკიდებულება გზების, საზოგადოებრივი საბავშვო ბაღების, დასუფთავებისა და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების მიმართ, ასევე განხილულია მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი ადგილობრივ თვითმმართველობაში. კვლევის შედეგების მიხედვით, მოქალაქეებმა საგზაო ინფრასტრუქტურისა და საბავშვო ბაღების განვითარების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა დადებითად შეაფასეს.



◎ რაგბი

# ინგლისი წინააღმდეგია



**ინგლისის რაგბის კავშირი ექვს ერში განსახორციელებელ შესაძლო ცვლილებებს მხარს არ დაუჭერს.**

„რატომ უნდა შევცვალოთ ის, რაც ძალიან კარგად მუშაობს?“ — განაცხადა ინგლისის რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა იან რიჩმა BBC-თან საუბარში.

ამ პასუხში რაგბის ქართველი გულშემატკივრისთვის ყველაზე ცუდი ისაა, რომ, შესაძლოა, „ბორჯღალოსნები“ თებერვალ-მარტში კვლავაც დარჩნენ მაღალი დონის თამაშების გარეშე. გლობალურად, საუბარია მსოფლიო რაგბის ხელმძღვანელის ბილ ბომონტის თხოვნაზე, რომელიც ექვსი ერის ორგანიზატორებს ტურნირის ჩატარების ვადების აპრილში გადაწევისკენ მოუწოდებდა. როგორც ჩანს, ეს არ მოხდება და ექვსი ერის ვადებად ძველებურად თებერვალ-მარტი დარჩება. რიჩის თქმით, ვადების შეცვლით სამხრეთ ნახევარსფეროსთან თამაშების კუთხით რაიმე გაუმჯობესების შესაძლებლობა არ იკვეთება და, ამდენად, ცვლილებების განხორციელება უაზროდ მიაჩნია.

„ჩვენ გვაქვს სატელევიზიო კონტრაქტები და უამრავი ტელემაყურებელი, ასევე სტადიონები, რომლებიც ყოველ თამაშზე პირთამდე ივსება. ასე რომ, რაიმეს შესაცვლელად ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმას ვეწინააღმდეგები“ — ამბობს ინგლისელთა წარმომადგენელი.

ნებისმიერ შემთხვევაში, 2019 წლის მსოფლიო თასამდე არაფერი შეიცვლება. თუმცა, უახლოესი ექვსი-ცხრა თვის განმავლობაში ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებს წამყვანი ნაკრებების წარმომადგებლები უნდა შეთანხმდნენ იმ საერთაშორისო კალენდარზე, რომელიც 2027 წლამდე იმუშავებს. სამხრეთელებს სურთ, რომ ივნისის ტესტ-სერიების ჩატარების ვადა ივლისში გადავიდეს, რათა უწყვეტად გახდეს შესაძლებელი სუპერრაგბის სეზონის ჩამთავრება. რა თქმა უნდა, ეს ცვლილება ჩრდილოელთა თანხმობის გარეშე ვერ მოხდება.

**კობა კობახიძე.**

◎ კალათბურთი




# ბარნიანი „ლაბორალ კუჩას“ მოთამაშეა

**იტალიის ნაკრების 30 წლის ფორვარდი ანდრეა ბარნიანი ესპანურ „ლაბორალ კუჩაში“ ჩაირიცხა. აღნიშნულ ინფორმაციას კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს. კონტრაქტის დეტალები ჯერჯერობით უცნობია.**

ბარნიანი „ტორონტოში“, „ნიუ იორკსა“ და „ბრუკლინში“ თამაშობდა. კარიერაში ანდრეა საშუალოდ ერთ შეხვედრაში 14.3 ქულას, 4.3 მოხსნას და 1.2 პასს აკეთებდა.

**ვიტალი ჯაფარიძე.**

◎ ფეხბურთი

# იგი წავა და სხვა მოვა

**ტალანტთა სამჭედლო — ხორვატეთი ყოველი სეზონის წინ ამარაგებს საერთაშორისო საფეხბურთო ბაზარს ამომავალი ვარსკვლავებით, მაგრამ იქაური კლუბები მაინც ახერხებენ საკუთარ ქომაგთა გახარებას.**

ასე მოხდა ამჯერადაც. როცა ზაგრების „დინამოს“ ახალგაზრდა ლიდერი მარკო პიაცა „ევრო — 2016“-ზე წარმატებული დებიუტის შემდეგ სამშობლოს გამოეთხოვა, ქართველმა გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს — ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს“ მეტოქე შესამჩნევად დასუსტდაო, მაგრამ ბალკანელთა კოზირები ამით არ ამოწურულა. პირიქით — ზლატკო კრანჩარის გუნდი გამართული სასელექციო პოლიტიკითა და სათადარიგოთა სრულფასოვანი სკამითაც გამორჩეულია.

ეს კარგად დადასტურდა პირველი რაუნდის დებიუტშივე, როცა ტრავმის გამო შესაცვლელი გახდა მასპინძელთა პორტუგალიელი ლეგიონერი მაჩადუ. ვითომც აქ არაფერიო, ხორვატებმა აუღელვებლად განაგრძეს საკუთარი შანსის ძებნა და შესვენების წინ ორმაგი დარტყმა მოგვაყენეს (სუდანი, ჩორიჩი) — 2:0.




ასე რომ, ყველაფერი ერთ კვირაში თბილისში გადაწყდება, სადაც, ვიმედოვნებთ, გამოჯანმრთელებული ქვილითაია და ველევი დაგვემატებიან.

**გიორგი შოთაძე**

◎ ოლიმპიური ჩემპიონი

# ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს...

***ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშები 2008 წლის 8-24 აგვისტოს პეკინში (ჩინეთი) გაიმართა. სპორტის 29 სახეობაში მედლების 302 კომპლექტი გათამაშდა. ორთაბრძოლებში 204 ქვეყნის 11028 სპორტსმენი მონაწილეობდა. ოლიმპიადის გმირები გახდნენ ამერიკელი მოცურავე მაიკლ ფელპსი (8 ოქროს მედალი და 7 მსოფლიოს რეკორდი) და იამაიკელი მძლეოსანი უსეინ ბოლტი (3 „ოქრო“ და 2 მსოფლიოს რეკორდი).***

***ოლიმპიადის გახსნის დღეს დაემთხვა რუსეთ-საქართველოს ომი, რომელიც, ოლიმპიადის პარალელურად, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. ქართველთა მცირერიცხოვანი დელეგაციის წევრთა ნაწილმა და ქართველმა სპორტულმა ჟურნალისტებმა 11 აგვისტოს პეკინში რუსეთის საელჩოს წინ საპროტესტო აქცია გამართეს, რომელსაც მსოფლიოს ყველა წამყვანი მედიასაშუალება აშუქებდა. აქციის მონაწილეები ჩინეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა ალყაში მოაქციეს და გადაადგილების საშუალება არ მისცეს.***

***ომით გამოწვეული მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმის მიუხედავად, ქართველი სპორტსმენები ჩინეთის ოლიმპიურ ბაზებზე წარმატებით გამოვიდნენ: სამ-სამი ოქროს და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს, მათი საერთო რაოდენობით კი 204 ქვეყანას შორის 27-ე ადგილი დაიკავეს. ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ირაკლი ცირეკიძე ( ძიუდო) და რევაზ მინდორაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ხოლო მესამე ადგილებზე ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), ოთარ თუშიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) და გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა) გავიდნენ. სულ ოლიმპიადაში საქართველოს 35 სპორტსმენი მონაწილეობდა.***

უნებურად 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი გამახსენდა — 74 კილოში მანუჩარ კვირკველია ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მაშინდელ პრეზიდენტ რაფაელ მარტინეტის შვეიცარიელ ფავორიტ რეტო ბუჩერს დაუპირისპირდა. მსაჯებმა პირველი პერიოდი ჩვენებურს აშკარად წააგებინეს. მეორე რაუნდში ქართველმა ფალავანმა წონასწორობა აღადგინა, მესამეში კი ძალოსანივით მკერდამდე აიტაცა შვეიცარიელი, გემრიელად ჩაიხუტა გულში, მერე ამოატრიალა და ხალიჩაზე რომ დაახეთქა, ნირწამხდარ არბიტრებს ეგონათ, იატაკი ჩაინგრაო.

მსგავსი რამ პეკინშიც განმეორდა, ისიც — ფინალში: მანუჩარმა მასპინძელთა კერპი იონგ-სიან ჩანი უკუსარტყლიდან ეფექტური გდებით ისე დაანარცხა ხალიჩას, მეტოქეს კი არა, ლამის მთელ ჩინეთს თავბრუ დაეხვა.

ძნელი გზა გაიარა კვირკველიამ ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე, თანაც ისეთი ზიგზაგებით, რომ გულშემატკივრები გვარიანად გვანერვიულა. ოზურგეთში დაბადებულმა და გაზრდილმა ფალავანმა (თავიდან გურამ მაჭარაშვილთან ვარჯიშობდა, მერე ბეგი დარჩიასთან იმაღლებდა ოსტატობას) 2002 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, ევროპის ჩემპიონატზე კი ერთი საფეხურით დაწინაურდა. მომდევნო წელს პლანეტის უძლიერეს ფალავნებთან პაექრობაში ყველას აჯობა. 2007 წელს ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა. იმ წელსვე სოფიაში ერთი ამოსუნთქვით მოიგო კონტინენტის პირველობა, ხოლო ბაქოში სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზე ხელი მოეცარა - მეორე წრეში თითქმის უბრძოლველად დანებდა გერმანელ კონსტანტინ შნაიდერს და, მედალს ვინ ჩივის, უსაგზუროდ დარჩა. ამას კი არავინ მოელოდა. თავადაც.



2008 წლის სეზონი იღბლიანად დაიწყო: უნგრეთში ჯერ მსოფლიოს თასზე მოიგო ერთი შეხვედრა. ტრავმამოუშუშებელმა იქვე საერთაშორისო ტურნირზე კიდევ სამ მეტოქეს სძლია. ბორჯომის საწვრთნელი შეკრების შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ კვირკველია ევროპის ჩემპიონატზე წასასვლელი გუნდის შემადგენლობაში არ დააყენა, სამაგიეროდ, რომის სალიცენზიო ტურნირზე წაიყვანა, სადაც პეკინის ოლიმპიადის ოთხი საგზური თამაშდებოდა.

იტალიის დედაქალაქში მანუჩარ კვირკველიამ სტარტზე კანადელ კოლინ დეინესს იოლად სძლია (6:0, 6:0). მეორე წრეში ვარტერეს სამურგაშევს დაუპირისპირდა. 29 წლის რუსეთელი მოჭიდავე საკმაოდ გამოცდილია და ტიტულიანიც. შეჯიბრებებზე მას შეძლებული ძმები დაჰყვებიან. მოსკოვში 2006 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში არბიტრებმა კვირკველიას ფანდი რატომღაც სამურგაშევს ჩაუთვალეს და ფინალში გაიყვანეს. ქართველი ფალავანი კი „ბრინჯაოს“ დააჯერეს. ეს ეპიზოდი კარგად ახსოვდა მანუჩარს და მასთან პაექრობისას ფრთხილობდა. საბედნიეროდ, ამჯერად თემიდის წარმომადგენლებმა პატიოსნად იმსაჯეს. ჩვენმა მოჭიდავემ შეხვედრა 2:1 მოიგო. მომდევნო ორთაბრძოლებში მან ესტონელ ეერიკ აპსს, შვედ ბაბულფატს, აზერბაიჯანელ აბდულოვსაც დააყრევინა ფარ-ხმალი და პირველ ადგილთან ერთად პეკინის საგზურსაც დაეუფლა.

ჩინეთის დედაქალაქში გამგზავრებამდე ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრებები გაიარა წახკაძორში (სომხეთი), მინსკსა და ბორჯომში; ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა. ის იყო, პეკინში წასასვლელად ემზადებოდა, რომ წინა დღით ავტომანქანა დაამტვრია. შინ უხასიათოდ დაბრუნებულს ჩვეულებისამებრ კარებთან მეუღლე შეეგება. დაღვრემის მიზეზი რომ შეიტყო, გაუღიმა და ეს ბედნიერების ნიშანიაო, უთხრა.

— ინგა არაჩვეულებრივი პიროვნებაა — იგი არა მარტო მეუღლე, არამედ უახლოესი მეგობარიცაა, — მითხრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა. — ჩემს გამარჯვებაში მასაც მიუძღვის დიდი წვლილი. სწორედ მან შემაგულიანა პეკინში გამგზავრების წინ — 29 წლის ხარ, 29-ე ოლიმპიადაა და აუცილებლად მოიგებო; 13 აგვისტოს იჭიდავებ, შენთვის ბედნიერი რიცხვია, რადგან 13 ოქტომბერს დაიბადე, ისიც ნუ დაგავიწყდება, 13 აგვისტოს გოგონა შეგვეძინება და ხელცარიელი ხომ არ დაგვიბრუნდებიო. საკვირველია, მაინც ამდენი დამთხვევა როგორ გაიხსენა.

**— და შენც იმედები არ გაუცრუე...**

— საქართველოზე რუსეთის აგრესიამ ყველას თავგზა აგვიბნია. ხომ იცით, ოლიმპიადის დატოვებაც კი გვინდოდა. როგორი საქმეა, ათასობით კილომეტრი გაშორებს სამშობლოს, რომელსაც გიბომბავენ. ნათესავები, ახლობლები, მეგობრები განსაცდელში არიან, შენ კი ყველაფერი ეს უნდა დაივიწყო სარბიელზე გასვლის წინ და მხოლოდ მეტოქის დამარცხებაზე იფიქრო. ღმერთი გაახარებს ნინო სალუქვაძეს - მან მოგვცა საკუთარი თავის ძლევისა და ვაჟკაცობის მაგალითი. მისი მედალი ჩვენთვის უდიდესი სტიმული იყო...

მანუჩარ კვირკველიამ პეკინის თამაშების პირველ წრეში ფრანგ კრისტოფ გენოს მოუგო, შემდეგ გერმანელ კონსტანტინ შნაიდერს, ნახევარფინალში ევროპის ჩემპიონი, უნგრელი პეტერ ბაში დააჩოქა, გადამწყვეტ პაექრობაში კი ჩინელ ჩანს აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

**გურამ მაჭარაშვილი:** არ ვიცი, როგორ გამოვხატო, თუ რა გმირობა გამოიჩინა მანუჩარმა! აღფრთოვანებული ვარ! ორთაბრძოლებს ჩემს შეგირდებთან ერთად ვუყურებდი. ფინალური პაექრობა რომ დაიწყო, ვერ გავუძელი და ოთახიდან გავედი. ორიოდ წუთში ბიჭების სიხარულის ყიჟინამ შემძრა. შინ შებრუნებულს მანუჩარის ხუთქულიანი გდებით სახეგაბრწყინებული ყმაწვილების თვალებმა შემომანათა. უკუგდება ბავშვობიდან გაითავისა კვირკველიამ და დღემდე ამ ილეთით მრავალ წარმატებას მიაღწია...

**— მანუჩარ, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მდგარს ისეთი სახე გქონდა, თითქოს რიგითი საერთაშორისო ტურნირი მოგეგოს.**

— ჩემი ქვეყნის განსაცდელმა ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვებით გამოწვეული სიხარული დამიჩრდილა. იმ წუთას მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, ომით გაწამებულ ქართველებს ოდნავი შვება მაინც თუ მოვგვარე-მეთქი.

**— ყოველივეს მიუხედავად, მთელმა მსოფლიომ დაინახა, ხუთჯვრიანი დროშით როგორ შემოურბინე სარბიელს.**

— ეს იყო სიმბოლური მომენტი: ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს, რომ საქართველოს ეროვნული დროშა ყოველთვის ლაღად იფრიალებს და ვერავითარი აგრესიული ძალა მას ხელს ვერ შეუშლის.

**— სხვა ქვეყნების წარმომადგენლები თუ გამოხატავდნენ ჩვენდამი თანაგრძნობას?**

— რა თქმა უნდა. მოდიოდნენ ჟურნალისტები, სპორტსმენები. ყველაფერი აინტერესებდათ საქართველოზე. ამგვარი რამ პირველად ვნახე შეჯიბრებებზე. დაჯილდოების შემდეგ შნაიდერმა დამამშვიდა — ნუ გეშინია, რუსების თარეში თქვენს ქვეყანაში მალე დამთავრდებაო.

**— ახლა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ხარ და თავად ზრუნავ ჩემპიონების დაფრთიანებაზე. რიოს ოლიმპიადიდან რას ელი?**

— ბრაზილიაში 11 ქართველი ფალავანი იჭიდავებს. ვერავის გამოვარჩევ. კვარცხლბეკზე ასვლის შანსი ყველას აქვს, მთავარია, გამოიყენონ. მჯერა, რომ ჩვენი ბიჭები სამშობლოს ასახელებენ.

**ვაჟა დანელია**

# ხელოვნური კვების რეკლამირების გამო სამშობიაროებს ჯარიმები დაეკისრებათ

**სამშობიაროებში ხელოვნური კვების რეკლამირება უახლოეს მომავალში შესაძლოა დასჯადი გახდეს. ამის შესახებ „კომერსანტთან“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ნინო ბერძულმა განაცხადა. მისი თქმით, ჯანდაცვის სამინისტრომ ძუძუთი კვების ხელშეწყობის მიზნით, არსებული სიტუაციის ზუსტი შეფასება, პრობლემების იდენტიფიცირება და სამოქმედო სტრატეგიის დასახვა დაიწყო.**

როგორც ბერძული აღნიშნავს, სამინისტრო ახორციელებს სამშობიარო სახლებში მონიტორინგს, რამდენად ხორციელდება ძუძუთი კვების ხელშეწყობა და რამდენად არის დაცული ის კანონი, რომელიც წლების წინ ქვეყანამ მიიღო ძუძუთი კვების პრაქტიკასთან მიმართებაში. გარდა ამისა, რამდენად არიან დაცულები ახალშობილები და დედები ხელოვნური საკვების კომპანიების აგრესიული მარკეტინგული ღონისძიებებისგან.

ბერძული ამბობს, რომ მონიტორინგი რამდენიმე რეგიონში განხორციელედება სელექტიურად შერჩეულ სამშობიაროებში. ამ დროისთვის დასრულებულია აჭარის რეგიონის კვლევა, რომლის შედეგებიც ჯერჯერობით არ საჯაროვდება. ბერძულის განცხადებით, მთლიანად მონიტორინგის პროცესი 1 თვეში დასრულდება და შესაბამისი დასკვნებიც დაიდება.

**„თუ გამოიკვეთა კონკრეტულ დაწესებულებებში დარღვევები, სახელმწიფო მათთან საგანმანათლებლო კამპანიას დაიწყებს, გარდა ამისა, კანონში ჩაიდება აღსრულების მექანიზმები, რაც სანქციებში გამოიხატება“,** — აცხადებს ბერძული. მისივე ინფორმაციით, აქამდე კანონი არსებობდა, თუმცა მასში სანქციები არ იყო ჩადებული.



პედიატრი **ვანო ჩხაიძე** მიესალმება სახელმწიფოს ამ ინიციატივას და აცხადებს, რომ აღნიშნული მონიტორინგი არ უნდა იყოს ერთჯერადი. გარდა ამისა, როგორც ჩხაიძე ამბობს, ყველა პედიატრი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც მაქსიმალურად არის ამ მხრივ მონდომებული, რომ ყველა მისი პაციენტი პირველივე დღიდან ძუძუთი იკვებებოდეს.

მისი მტკიცებით, არც ერთი პედატრი არ უნდა მონაწილეობდეს ხელოვნური საკვების რეკლამაში. **„ყველა პედიატრი უნდა იყოს რეკლამის მიმცემი ძუძუთ კვებაზე და არა პირიქით, ხელოვნური კვების რეკლამირებას ახდენდეს. სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართულია იმისკენ, რომ ძუძუთი კვებას ხელი შეეწყოს“** — აცხადებს ჩხაიძე.

მისივე ინფორმაციით, საქართველოს აქვს კანონი ძუძუთი კვების შესახებ, რომელიც 2000 წლის დასაწყისშია მიღებული. ჩხაიძე ამბობს, რომ ეს კანონი ძუძუთი კვების პირდაპირი ხელშეწყობაა, თუმცა, მას მონიტორინგი სჭირდება.

შეგახსენებთ, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი **მაია ქურციკიძე** გასულ წელს აცხადებდა, რომ საქართველოში ახალშობილთა ბუნებრივი კვების წახალისების კანონი არ ხორციელდება და კომპანიები შეუზღუდავად და კანონდარღვევით ახდენენ ხელოვნური საკვების რეკლამირებასა და რეალიზებას.

რაც შეეხება ბუნებრივი კვების წახალისებას, ქურციკიძე აცხადებდა, რომ ბავშვთა ბუნებრივი კვების მხრივ საქართველოს ცუდი მაჩვენებელი აქვს. კერძოდ, წინა წლებში ჩატარებული კვლევების თანახმად, ახალშობილთა 13% არასდროს ყოფილა ძუძუთი კვებაზე, 6 თვემდე ჩვილებს შორის კი მხოლოდ ნახევარია ექსკლუზიურად, ანუ მხოლოდ ძუძუთი კვებაზე.



**...ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მთელ მსოფლიოში 6 თვემდე ბავშვების 40% მხოლოდ ბუნებრივ კვებაზეა. ამ მხრივ ლიდერები არიან ყველაზე განვითარებული და სოციალურად ორიენტირებული ქვეყნები — ფინეთი, ნორვეგია და შვედეთი, სადაც 6 თვემდე ბავშვების დაახლოებით 90% ძუძუთი იკვებება.**

**ამერიკაში, ხელოვნური ნარევების მწარმოებელთა აგრესიულმა კამპანიამ თავისი „შავი საქმე“ გააკეთა და პრაქტიკულად, განდევნა დედობის კულტურიდან ძუძუთი კვება.**

**სოფო ქსოვრელი**

# დავით კინწურაშვილი თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ პირველ განცხადებას აკეთებს

ოპერისა და ბალეტის უკვე ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი დავით კინწურაშვილი იმ მიზეზებს განმარტავს, რის გამოც მან პოსტის დატოვებამდე სამხატვრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მოხსნა.



**„მადლობა კულტურის მინისტრს, ბატონ მიხეილ გიორგაძეს, რომ დიდი მოთმინებით, ყველა დადგენილი ნორმის დაცვით, პროცედურას მიჰყვა. ეს დრო კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ყველას საკუთარი, ნამდვილი სახე წარმოეჩინა.**

**მე თანამდებობიდან გავათავისუფლე სამხატვრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ეკატერინე გელაშვილი. ეკას, რომელიც ჩემი თეატრში მისვლისას დაგეგმარების ჯგუფის კოორდინატორი იყო, თეატრის სამხატვრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და სცენის მენეჯერის — ორი უმთავრესი პოსტი ჩავაბარე თეატრში. პასუხისმგებლობიდან გამომდინარე შესაბამისი მაღალი ანაზღაურებით.**

**დღეს კი მის განთავისუფლებაზე ვსაუბრობ, რადგან 17 ივლისის სეზონის დახურვაზე მოსული მაყურებელი გაწბილებული დიდ წილად მის გამოც დარჩა.**

**მაშინ როცა სტენოკარდიული შეტევით კლინიკაში ვიმყოფებოდი, ჩემი, როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, რომ დაგეგმილი სეზონის დახურვა შემდგარიყო, მან თავად გაუწია ორგანიზება სეზონის დახურვის ჩაშლას.**

**როგორც კი აღმოვაჩინე, საგულდაგულოდ დამალული, სავარაუდოდ თეატრის გახსნის შემდგომი პერიოდის დარღვევები, სამინისტრო საქმის კურსში ჩავაყენე. თეატრის დირექტორს ალექსანდრე მოწონელიძეს უნდობლობა პირადადაც გამოვუცხადე. სამინისტროს თანხმობის მიუხედავად, მისი მოხსნის შესახებ მყისიერი გადაწყვეტილება არ მივიღე და ეს დრო მიზეზების შესწავლას და სიტუაციის გამოსწორების გზების ძიებას დავუთმე. სამწუხაროდ, უშედეგოდ...**

**თეატრისადმი მიყენებული ფინანსური და მორალური ზარალის გამო, ჩემივე უდიდესი ძალისხმევით დანიშნული დირექტორის ალექსანდრე მოწონელიძის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ რეკომენდაციით, მინისტრს მივმართე. ბატონი მიხეილი აქაც ლმობიერი აღმოჩნდა და ალექსანდრე მოწონელიძეს არჩევანის საშუალება დაუტოვა“,** — წერს კინწურაშვილი.

## სანთელი



**შვილები ლევან, ალეკო მიქაბერიძეები, რძლები მარინა, დალი, ანუკი, შვილიშვილები ალეკო (ალექსანდრე), თამარი, ლევანი, შვილთაშვილები ლუკა, სერგი მიქაბერიძეები, ანდრია კირვალიძე იუწყებიან რომ გარდაიცვალა**

**ნორა ფრანგიშვილი-მიქაბერიძე**

**პანაშვიდი 28, 29, VII 16 სთ. გამოსვენება 30 VII, 14 სთ. ქ. თბილისი, გ. ჩიტაიას ქ. (ყოფილი საბჭოს) №20. I სად.**

# ბარო, სიძე, შე გაჩხრეკილო!



პრეზიდენტის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც მისი ოჯახის წევრზე (სიძეზე) ზეწოლის მცდელობას ეხება, განმარტება შს მინისტრის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა გააკეთა. ხუციშვილის განცხადებით ეს რეგულარული საპოლიციო ღონისძიება იყო.

**„ესეთ ოპერაციას პოლიცია ატარებს დღეში რამდენიმეს.... ჩვეულებრივი ღონისძიებაა. ეს არის ჩვეულებრივი საპროცესო მოქმედება, სტანდარტული საპოლიციო მოქმედება, რომელიც დღეში ათობით ტარდება, რა, პრეზიდენტის სიძე არ უნდა გაგვეჩხრიკა?!“** — აღნიშნა შალვა ხუციშვილმა.

# დიმიტრი მოსულიშვილმა ალექსანდრე ელისაშვილს სასამართლოში უჩივლა

თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი დიმიტრი მოსულიშვილი თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატს ალექსანდრე ელისაშვილს უჩივის.

**„გაცნობებთ, რომ მე მივმართე თბილისის მერს, თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, რადგან გადავწყვიტე, როგორც არქიტექტორმა მეტი დრო დავუთმო ჩემს პროფესიულ საქმიანობას და მუშაობა გავაგრძელო კერძო სექტორში. აქვე გაცნობებთ, რომ ამა წლის 14 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოში შევიტანე სარჩელი თბილისის საკრებულოს დეპუტატის ალექსანდრე ელისაშვილის წინააღმდეგ, რომელმაც ჩემი მისამართით საჯაროდ გააკეთა ცრუ და ცილისმწამებლური განცხადებები. სარჩელი ასევე ჩაბარდა ბატონ ელისაშვილს, როგორც პროცესის მოპასუხე მხარეს. იმედი მაქვს, რომ სასამართლოს მიერ მალე დადგინდება სიმართლე და ელისაშვილს მოუწევს მის მიერ გამოთქმული სიცრუისა და ცილისწამების უარყოფა“,** — ნათქვამია მოსულიშვილის განცხადებაში.



# არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები საზღვარზე

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე, საბაჟო კონტროლისგან მალულად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქროს ნაკეთობების გადმოტანის ფაქტზე თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე აიჰან მერჯანი დააკავა.**

თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე აიჰან მერჯანს, საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ გავლით, საბაჟო კონტროლისგან მალულად, თავისივე მოტოციკლის სავარძლის ქვეშ მოწყობილი სამალავის გამოყენებით, საქართველოს ტერიტორიაზე შემოჰქონდა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით უმაღლესი სინჯის ოქროსგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობები. საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებული სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთისას დააკავა.

# დაკავებულია მექრთამე მაღალჩინოსანი

**სახელმწიფო უსაფრთოხების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებისთვის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე დავით მეყანწიშვილი დააკავეს.**



მეყანწიშვილმა უცხოელ ბიზნესმენს 50 ათასი ლარი დედაქალაქში მიწის ნაკვეთის აუქციონზე გატანის პროცედურების დაჩქარებისთვის მოსთხოვა. მერიის მაღალჩინოსანი ქრთამის აღების მომენტში დააკავეს. მას სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

## ყურადღება!

# „ლიტერატურული ბაზრობა“

## თქვენი პუბლიკაცია ჩვენს გაზეთში!



**„საქართველოს რესპუბლიკა“ იწყებს ნაწარმოებების მიღებას ახალ საინფორმაციო-სარეკლამო პროექტ „ლიტერატურულ ბაზრობაში“ მონაწილეობისათვის.**

ვიწვევთ პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს, პუბლიცისტებს, რომლებსაც სურთ, გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, განათავსონ ინფორმაცია ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე. ასევე შესაძლებელია ობიექტური რეცენზიების პუბლიკაცია (რომლებიც არ შეიცავენ ესთეტიკურ შეფასებებს). ავტორებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა არა მხოლოდ გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გამოცემის ფურცლებზე, არამედ მიიზიდონ გამომცემელთა და კრიტიკოსების ყურადღება, გახადონ უფრო მკაფიო თავიანთი ლიტერატურული ბედი.

„ლიტერატურული ბაზრობა“ გამოდის კომერციულ საფუძველზე, რაც ავტორს საშუალებას აძლევს თავად განსაზღვროს პუბლიკაციის მოცულობა.

შეფასებები მითითებულია „საქართველოს რესპუბლიკის“ საიტზე. ნაწარმოებები უნდა გამოიგზავნოს განყოფილებაში „ლიტერატურა“ ელექტრონულ მისამართზე sakresp@mail.ru შენიშვნით წერილის თემაზე „ლიტერატურული ბაზრობა“.

რა თქმა უნდა, მსურველებს შეუძლიათ, რომ რედაქციაშიც მობრძანდნენ.

**ფასების ნიხრი ასეთია:**

| | |
|---|---|
| ლექსის სტრიქონი | – 1,5 ლარი, |
| მოთხრობის ერთი კომპიუტერული გვერდი | – 30 ლარი, |
| პიესის თითო კომპიუტერული გვერდი | – 20 ლარი, |
| პუბლიცისტური წერილის გვერდი | – 25 ლარი, |
| ცნობა ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე | – 15 ლარი, |
| რეცენზიის ერთი კომპიუტერული გვერდი | – 25 ლარი. |

შემოსული ნაწარმოებები დაიბეჭდება ყოველ შაბათს სპეციალური ჩანართის სახით.

# ფრან უნდურაგა – ჩილელი „სიტყვის ქალი“

**ეს პოლიტიკოსები არიან, სულ რომ დაპირებებს ისვრიან აქეთ-იქით და მერე მთლად ავიწყდებათ დაპირებებიცა და ყველაფერიც, თორემ, ლათინოამერიკელი ლამაზმანები დადებულ პირობას როგორც წესი ყოველთვის ასრულებენ და მათი პირობა ხშირად ისეთი საამოა, ფიქრის დროსაც კი ჟრუანტელი დაუვლის ადამიანს.**

მაგალითად წელს, ჯერ კიდევ გაზაფხულზე, კოპა ამერიკის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ჩილელმა მოდელმა და მკერდსაოცარმა ასულმა ფრან უნდურაგამ განაცხადა, რომ თუკი მისი მშობლიური ქვეყნის – ჩილეს საფეხბურთო ნაკრები ჩემპიონი გახდებოდა, ის ჩილეს ნაკრების ნებისმიერ ფეხბურთელს დანებდებოდა.



ფრან უნდურაგა თავის პირობაზე ახლაც მყარად დგას და აცხადებს, რომ თუკი ჩილეს ეროვნული გუნდის რომელიმე წევრი მასთან ხვანცალის სურვილს გამოთქვამს, იგი თავპატიჟდაუდებლად ეახლება და არც ტუჩთა შეწეპებას დაიზარებს. სიტყვის ქალი ვარო უნდურაგამ უნდა თქვას!

**როსტომ რაჭველიშვილი.**

# აბა, ჩამომართვი ხელი!..

**ავტორიტეტულ სამედიცინო ჟურნალ „ლანცეტში“ გამოქვეყნებული მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის დასკვნით ირკვევა, რომ კაცის ინფარქტისადმი მიდრეკილების საფრთხის შეფასება ხელის ჩამორთმევის ძალითაა შესაძლებელი.**

მეცნიერები მსოფლიოს 14 ქვეყანაში 140 ათას პაციენტს დააკვირდნენ. რამდენიმე წლის განმავლობაში ისინი დინამომეტრის ჩვენებებსა (მოჭერის ძალის გამზომი ხელსაწყოს) და გამოსაცდელთა გულის მდგომარეობას აღნუსხავდნენ. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ რაც უფრო ნაკლები ძალისაა ხელის ჩამორთმევა, მით უფრო მაღალია გულის სისხლძარღვთა ყველაზე გავრცელებულ დაავადებათა წარმოშობის რისკი, რაც ასაკის მატებასთან იჩენს თავს. მაგალითად, 25 წლამდე ასაკის ქალების თითების მოჭერის ძალა დაახლოებით 34 კილოგრამია, 70 წლის ასაკისთვის კი 25 კილოგრამამდე ვარდება. მამაკაცებში ეს სხვაობა, შესაბამისად, 54-სა და 37 კილოგრამს შორისაა მოქცეული. ხელის ჩამორთმევის ძალის 5 კილოგრამით შემცირება ადრეული სიკვდილის რისკს 16 პროცენტით ზრდის, ინფარქტის ალბათობა კი 17 პროცენტით მატულობს.

ყოველივე ამას ექიმები არტერიების ელასტიურობის დაქვეითებით ხსნიან. ამიტომაც, ისინი ფიზიკურ ვარჯიშებსა და მაჯის ძალის მომატებას გვირჩევენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

## სათრეველები

### აღქმა აღსაქმელისა

**„ნიღბების თეატრის“ წამბაძველ „ნიღბოსნებს“**

ქინძი კერძს აქცევს კარგადა,
პოლიტიკას კი – რა გითხრათ?
გირჩიც მურაბად ვარგა და
რაკი პარტიად გაგვიხდა,
ნაცების ნიღბად, ქარგად და
უნიჭო დადგმად აღვიქვამ!

### დაპირება

რად გიყურებ დაკვირვებით,
რატომ გწონი
მისხალ-მისხალ?
არჩევის წინ დაპირება
ბევრჯერ მოგვცეს ვამპირებმა.
მაგრამ იქცნენ ხალხის რისხვად!

### მ ე ს ა მ ე?

**თურქეთსა და საქართველოში ჩაქოლილები, რომლებიც შემახსენა ოდესიდან მოსმენილმა მორიგმა მუქარამ**

ააფრინა ასაფრენი
და არ ვამბობ, ვის რით ჰგავდა,
ვისაც არ სურს არაფერი,
კვლავ პირველი სკამის გარდა.
შევახსენებ ბრმასა და ყრუს,
ამბოხების მოწადინეს,
რა ხვედრი ხვდა გიორგი რუსს
და მეფისწულ კონსტანტინეს!

### გზა პარლამენტში

პორტირებულთა ხელშესახოცად
მოდაში რაკი დღეს მუტანტია,
ყოფილი „ნაცი“
დაამყნეს „ქოცთან“ –
ეს ნიშმავს,
უკვე დეპუტატია!



**ალექსანდრე შენგელია.**

## ანეკდოტები

**ქმართან** ჩემი ჩხუბი როკჯგუფის კონცერტებს ჰგავს: ვიწყებთ ახალი ნომრებით, დამთავრებით კი ძველი ჰიტებით ვამთავრებთ...

* * *

– **რა** ვქნა მომკალი და არ მხიბლავს რაცხა ამ სტრავინსკის მუსიკა!

– რავა, მოგისმენია, თუ?..

– მისით კი არ მომისმენია, მაგრამ ჭიკიკიამ წამიმღერა წუხელ...

* * *

– **აბა,** გულახდილად მითხარი: სუპერმოდელსა და შენს ცოლს შორის არჩევანის გაკეთება რომ შემოგთავაზონ, რომელ სუპერმოდელს აირჩევდით?

* * *

**„ძვირფასო რედაქცია!** უკვე 15 წლის ცოლ-ქმარი ვართ, გუშინ კი მეუღლემ ჩემი კოცნა გადაწყვიტა: გამარკვიეთ, თუ შეიძლება, რა ვქნა: იქნებ მოვწონვარ?“

* * *

– **რატომაა,** რომ ქარიშხლებს ქალების სახელებს არქმევენ?

– იმიტომ, რომ ისინი ადამიანებს მოულოდნელად ესხმიან თავს, ისეთივე ძნელად განსაჭვრეტნი და სასტიკები არიან, თანაც, რომ მიდიან, თან სახლები და მანქანები მიაქვთ!..

* * *

– **რას** უფრო კარგი შედეგი მოაქვს: ორ ას-ას გრამს, თუ ერთ ჭიქა ორას გრამს?

– გაცილებით უკეთესი შედეგი მოაქვს ნახევარ ლიტრას!

* * *

**ნაბახუსევი** ჭიათურელი გია მ-ს გამტაცებელმა უცხოპლანეტელებმა მისგან ზეწოლას ვერ გაუძლეს და ცოტა ხნით მაინც დასვეს იგი მფრინავი თეფშის საჭესთან.



## უსიტყვოდ

**ამირან ერაძის ნახატი**




ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ 100 წლის „საქართველოს რესპუბლიკას“! გმადლობთ!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.345; ევრო - 2.58;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.078;
100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.796;
აზერბაიჯანული მანათი - 1.478;
1000 სომხური დრამი - 4.92

**ამინდი 28 ივლისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +17, | დღე +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +12, | დღე +29 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +18, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +14, | დღე +27 |
| თბილისი: | ღამე +20, | დღე +28 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE